პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
26 ნოემბერი
1939 წ.
№ 271 (5671)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტწევრობის კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდა (მოწინავე)
თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, თურქმენეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს, თურქმენეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს (1-ლი გვ.)
თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
რკინიგზათა, მეტროს, გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის, ქარხნების მშენებლობათა, სასწავლებელთა მუშაკებისა და მეცნიერ მუშაკებისა და გამომგონებელთა დაჯილდოება (1-ლი გვ.)
ცნობა თბილისის საქალაქო [illegible] (მე-2 გვ.)
კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
„ფელკიშერ ბეობახტერი“ ოტო შტრასერის საქმიანობის შესახებ (მე-4 გვ.)
რუმინეთის მთავრობის გადადგომა (მე-4 გვ.)
დასავლეთის ფრონტზე (მე-4 გვ.).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტწევრობის კანდიდატთა ბოლშევიკური აღზრდა

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მუდამ ზრუნავს თავისი რიგების ზრდისა და განმტკიცებისათვის. იგი თავის რიგებში აერთიანებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საუკეთესო ნაწილს, კომუნიზმის საქმისათვის ბოლომდე ერთგულ ადამიანებს — მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციის წარჩინებულ წარმომადგენლებს.

XVIII პარტიულმა ყრილობამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეიტანა პარტიის წესდებაში. პარტიაში ყველა შემსვლელთათვის შემოღებულია ერთწლიანი საკანდიდატო სტაჟი — „რაც საჭიროა იმისათვის, რომ კანდიდატი გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებას, ტაქტიკას და უზრუნველყოფილ იქნას კანდიდატის პირადი თვისებების შემოწმება პარტორგანიზაციის მიერ“ (საკ. კ. პ. (ბ) წესდება).

პარტიაში მიღების განახლების შემდეგ შესამჩნევად გაიზარდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა რიგები. 1936 წლის სექტემბრიდან ამა წლის 1 ნოემბრამდე საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია 45.036 კაცი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზრდა XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ — მიღებულია 16.611 ამხანაგი. პარტიაში ახლადმიღებულთა შორის ქალია 7000-ზე მეტი. საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ახლადმიღებული ამხანაგები დიდი მონდომებით იბრძვიან თავიანთი იდეური დონის ასამაღლებლად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების მისაღებად.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის ვალია ყოველმხრივ დაეხმაროს პარტიის წევრობის კანდიდატებს გახდნენ პარტიის ღირსეული წევრები, აიმაღლონ თეორიული დონე და პრაქტიკულ საქმიანობაში დაუმტკიცონ პარტიას თავიანთი უსაზღვრო ერთგულება. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა ჩააბან ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ მათ, ბოლშევიკურად მოაწყონ კანდიდატთა კომუნისტური აღზრდა, შთაუნერგონ მათ პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სახელოვანი ბოლშევიკური ტრადიციები.

კარგად მუშაობს კანდიდატებთან, მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პარტორგანიზაცია. აქ მონდომებით ზრუნავენ ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და პრაქტიკულ მუშაობაში მათი გამოწრთობისათვის. კანდიდატებს მიცემული აქვთ კონკრეტული პარტიული დავალებები. 8 ამხანაგი აგიტატორად მუშაობს საარჩევნო უბანში, 5 კაცი ნებაყოფლობითს ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს, 2 ამხანაგი წამკითხველ-მესაუბრეა და ა. შ. კანდიდატები წარმატებით იბრძვიან საწარმოში ავანგარდული როლისათვის. უშუალოდ წარმოებაში მომუშავე 14 პარტკანდიდატი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

ასეთი მაგალითები მრავალია. მაგრამ მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან ასე მონდომებით მუშაობდნენ პარტიის კანდიდატთა კომუნისტურად აღზრდისათვის. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ამ საქმეში. მაგალითად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტკანდიდატთა შორის თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხნის პარტორგანიზაცია. აქ პარტწევრობის 5 კანდიდატს არავითარი პარტიული დავალება არა აქვს მიცემული, ხოლო იმათ მუშაობას, რომელთაც პარტიული დავალებები აქვთ, პარტბიურო არ ამოწმებს, არ ეხმარება მათ მუშაობაში, არ ზრუნავს კანდიდატთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს პარტიული ორგანიზაციის თვითეული ხელმძღვანელისაგან, რათა იგი კარგად იცნობდეს პარტიის წევრებს, იცოდეს მათი მიდრეკილება, უნარი მუშაობაში, იცოდეს როგორ მუშაობენ კომუნისტები, როგორ იზრდებიან ისინი, ინდივიდუალურად მიუდგეს თვითეულ მათგანს. ეს მით უფრო საჭიროა, როცა საქმე ეხება პარტიის წევრობის კანდიდატებს, მათ აღზრდას. სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული მუშაკი ივიწყებს ამ ბრძნულ სტალინურ მითითებას, ფორმალურად, ხელაღებით უდგება ახალგაზრდა კომუნისტებზე პარტიულ დავალებათა განაწილებას, მხედველობაში არ იღებს თვითეული ამხანაგის მიდრეკილებას, სურვილებს.

მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის ნიგოითის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში 13 კანდიდატიდან 8-ს არა აქვს პარტიული დავალება, ხოლო კანდიდატები ვ. როხაძე და ა. ქუჟიკაიშვილი პარტიულ კრებაზეც კი არ ცხადდებიან. ჩოჩხათის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში კომუნისტებს შ. მოისწრაფიშვილს და ვ. გრვაძეს თითოს ოთხი პარტიული დავალება აქვს, ხოლო სამი პარტკანდიდატი სულაც არ არის ჩაბმული მუშაობაში. დავალებათა ასე უხეიროდ განაწილებას მხოლოდ ზიანი მოაქვს. პარტიული დავალებებით გადატვირთული ამხანაგები თავს ვერ ართმევენ მუშაობას, დრო არ რჩებათ თავიანთი თეორიული დონის ამაღლებისათვის და იწყებენ ჩამორჩენას, ხოლო ის ამხანაგები, რომელთაც პარტიული დავალებები არა აქვთ, აგრეთვე მოწყვეტილი არიან პარტიულ მუშაობას და არ იზრდებიან პრაქტიკულ საქმიანობაში.

ზოგჯერ პარტიულ დავალებათა განაწილებას სრულიად ფორმალურად უდგებიან. მაგალითად, სოფელ კაკაბეთის (საგარეჯოს რაიონი) მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში კანდიდატს ამხ. ნ. ოქრომჭედლიშვილს დავალებული აქვს წისქვილების ხელმძღვანელობა (?!), ხოლო კ. შაროვს — ბაღების მოვლა-პატრონობა; საგარეჯოს ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტს ლ. როსტიაშვილს დავალებული აქვს „კედლის გაზეთის ჩარჩოს გაფორმება“. რასაკვირველია, ასეთი დავალებები ხელს ვერ შეუწყობს ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას მუშაობაში.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა ჟდანოვმა გააკრიტიკა პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა კანდიდატებთან, „რაც იწვევს ეგრეთწოდებული „მარადი“ კანდიდატების შექმნას, კანდიდატებისა, რომლებიც კანდიდატობაში 6-7-8 და კიდევ მეტ წელს რჩებიან“ (ჟდანოვი). ყრილობის შემდეგ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად. მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სტაჟგადაცილებულ კანდიდატებთან, არ ეხმარება მათ მოემზადონ და გახდნენ პარტიის წევრნი. მაგალითად, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტორგანიზაციაში 22 სტაჟგადაცილებული კანდიდატია, ზოგ მათგანს კარგახანია გაუვიდა საკანდიდატო სტაჟი; სოფ. თეზის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში (კასპის რაიონი) ვ. სიდამონიძეს და კ. ბუნტურს ჯერ კიდევ მაისში გაუთავდა საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მათ არავინ დაეხმარა მომზადებულიყვნენ პარტიის წევრად გახდომისათვის. სუსტად არის დაყენებული მუშაობა სტაჟგადაცილებულ კანდიდატებთან ზემოსვანეთის და ცხაკაიას პარტორგანიზაციებში. მაგალითად, ცხაკაიას რაიონში 80-მდე სტაჟგადაცილებული კანდიდატი ითვლება.

ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის რაიკომთან და ქალაქკომთან ერთად უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც ისინი ირიცხებიან. პირველადმა პარტორგანიზაციამ სისტემატურად უნდა იზრუნოს მათი ბოლშევიკური აღზრდისათვის, უნდა დაეხმაროს პარტიის წევრობის კანდიდატებს გულდასმით გაეცნონ პარტიის წესდებასა და პროგრამას, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობით დაეუფლონ პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ ჩვევებს. უნდა დავეხმაროთ კანდიდატებს შეისწავლონ ჩვენი პარტიის წარსული, თვითეულ პარტიულ ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ არ არსებობს ახალგაზრდა კომუნისტთა ბოლშევიკური აღზრდის იმაზე უფრო ძლიერი იარაღი, ვიდრე ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი ისტორია, და ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი პარტკანდიდატებს, ახალგაზრდა კომუნისტებს ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის შესწავლაში.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია

აშხაბადი, 23 ნოემბერი (საკდესი). დღეს პუშკინის სახელობის თეატრში საზეიმო პირობებში გაიხსნა თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია. თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან ერთად დარბაზში არის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული 300-მდე სტუმარი. სესიაზე ჩამოსული არიან მოძმე რესპუბლიკების — უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, ბაშკირეთის და ყარა-კალპაკეთის დელეგაციები.

საიუბილეო სესია გახსნა თურქმენეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ბერდიევმა**, რომელმაც მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

სესიამ უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით მიიღო მისალმება ამხანაგ **სტალინისადმი**.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის 15 წლისთავის შესახებ ვრცელი, შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა თურქმენეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ხუდაიბერგენოვი**.

აქვეყნებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებას. სესიამ მისალმება უდიდესი ყურადღებით მოისმინა.

მისალმებით გამოვიდა უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ახუნბაბაევი**.

სესიამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმებანი ამხანაგების **მოლოტოვის, კალინინის, ვოროშილოვისა და ანდრეევისადმი**.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
თურქმენეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს
თურქმენეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას თურქმენეთის სს რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავის გამო.

თურქმენმა ხალხმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ცარიზმის ყოფილი ჩაგრული, ჩამორჩენილი კოლონიიდან, რომელსაც დაუზოგველ ექსპლოატაციას უწევდნენ ბაები, ხანები, ემირები და მეფის მოხელეები, შექმნა სოციალისტური რესპუბლიკა. რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან გასული 15 წლის განმავლობაში საბჭოთა თურქმენეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ, მთელი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

მოკლე ხნის განმავლობაში ახლად შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი დარგები, აგებულია მინის უდიდესი მექანიკური ქარხანა, ქიმიური კომბინატი ყარა-ბოღაზ-გოლი, ნავთის სარეწაოები, გოგირდის ქარხანა ყარა-ყუმში და სხვ.

რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობა გაიზარდა და თანამედროვე მსხვილ საკოლმეურნეო მექანიზებულ მეურნეობად გადაიქცა. გარდაქმნილია საირიგაციო სისტემა. თურქმენეთის კოლმეურნეებმა მიაღწიეს ბამბის უხვ მოსავალს და თითქმის ერთიორად გაადიდეს მოსავლიანობა ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

იმ ქვეყანაში, სადაც ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნენი 0,7 პროცენტს შეადგენდნენ, საუცხოოდ გაიფურჩქნა საბჭოთა ნაციონალური თურქმენული კულტურა. იზრდება ახალი, ხალხური ინტელიგენციის ნაციონალური კადრები, ხოლო წერა-კითხვის მცოდნეობამ 80 პროცენტს მიაღწია.

ამ წარმატებებს საბჭოთა თურქმენეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ მიაღწიეს იმით, რომ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურეს ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და იმპერიალიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი აგენტების მტრული ბუდეები, რომლებიც ცდილობდნენ კვლავ ჩაეგდოთ თავისუფალი თურქმენი ხალხი ბაების, ხანებისა და კაპიტალისტების კაბალაში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ თურქმენი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით, მომავალშიაც დაუღალავად, ბოლშევიკურად განამტკიცებს თურქმენეთის სს რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავშირის ძლიერებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო
საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
ხივალი ბაბაევს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ულოცავს საბჭოთა თურქმენეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს სახელოვანი წლისთავის დღეს — თურქმენეთის სს რესპუბლიკის შექმნის 15 წლისთავს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მოსპო მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, სამუდამოდ გაანთავისუფლა თურქმენი ხალხი მონობისა და ნაციონალური ჩაგვრის ბორკილებისაგან.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გაწუხრელი გატარების საფუძველზე, სამშობლოს მოღალატეებთან — ტროცკისტულ-ბუხარინულ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებთან ბრძოლით, თურქმენმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და მოკავშირე რესპუბლიკების ძმური დახმარებით გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

შექმნილია დიდი სამრეწველო საწარმოები, მექანიზებულია სოფლის კოლექტიური მეურნეობა, განუხრელად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, სულ უფროდაუფრო მაღლა იწევს მათი კულტურული დონე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სრულ რწმენას გამოსთქვამს, რომ თურქმენეთის მშრომელები სტალინური კონსტიტუციის დროშით სსრ კავშირის ყველა ხალხთა ძმური თანამეგობრობით წავლენ კომუნიზმის ახალი შემდგომი გამარჯვებებისაკენ.

მ. კალინინი
ა. გორკინი

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ქ. აშხაბადი

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის ბედნიერ მოძმე თურქმენ ხალხს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 15 წლისთავზე.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით, საბჭოთა თურქმენეთის მშრომელებმა თურქმენეთის სს რესპუბლიკის შექმნის დღიდან გასული 15 წლის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში. აგებულია ახალი ფაბრიკები, ქარხნები, კლუბები, თეატრები, სასწავლებლები. თურქმენეთის სოციალისტური სოფლის მეურნეობა ბამბისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს იძლევა. სულ უფროდაუფრო მაღლა იწევს თურქმენი ხალხის მატერიალური და კულტურული დონე, განუხრელად იზრდება მისი კეთილდღეობა.

ამ წარმატებებს თურქმენეთის მშრომელებმა იმის შედეგად მიაღწიეს, რომ გაანადგურეს ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალისტური მონობა.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ თურქმენი ხალხი მომავალშიაც დაუღალავად იმუშავებს თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის და სტალინური კონსტიტუციის დროშით, სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად, წავა კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს თურქმენ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს — დიდ **სტალინს**!

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბადაევი
რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კოზლოვი

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულებით რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობისა და სოციალისტური შრომის სანიმუშო მაჩვენებლების მოპოვების საქმეში განსაკუთრებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულთა შორის არის ამიერ-კავკასიის რკინიგზის 88 მუშაკი.

დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — არუთინოვი ბაგრატ ნიკოლოზის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის ყოფილი უფროსი, ახლა სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სახალხო კომისრის მოადგილე, წინათ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული; გელაძე ნიკოლოზ ვასილის-ძე თბილისის საორთქლმავლო დეპოს ინსტრუქტორი-მემანქანე, წინად შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული; ჯაფარაშვილი იოსებ ალექსის-ძე — ხაშურის ელექტროდეპოს ელექტრომავლის უფროსი მემანქანე; ჭანკვეტაძე იასონ სიმონის-ძე—ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგ შემომვლელი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — ჯორბენაძე ანტონ ვასილის-ძე — პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე, წინათ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული; კვინიკაძე ვალერიან ნიკოლოზის-ძე — მოძრაობის თბილისის განყოფილების უფროსი; კვიცარიძე ვლადიმერ ბართლომეს-ძე — ფოთის სადგურის ყოფილი უფროსი, ამჟამად მოძრაობის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე; კიკნაძე გრიგოლ სიმონის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსი, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული; ლაბაძე გიორგი ილიას-ძე ხაშურის დეპოს ელექტრომავლის მემანქანე; მიხანაშვილი ვასილ წყალობას-ძე — თბილისის დეპოს საქვაბე საამქროს ბრიგადირი; მიქელაძე ამბერკი ივანეს-ძე — ფოთის სადგურის მატარებლის შემდგენელი; ობოლაშვილი ლევან ნიკოლოზის-ძე — თბილისის დეპოს მემანქანე; რომანოვი ვასილ გრიმოვის-ძე—ბათუმის დეპოს მემანქანე; სვანაძე იოსებ ივანეს-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი; ტონია ვლადიმერ ანტონის-ძე — ბათუმის საქონლის სადგურის მატარებლის შემდგენელი; ერისთავი კონსტანტინე დავითის-ძე — რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, საქ. სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — ბასილაძე ბიქტორ ერმილეს-ძე — შორაპნის სალიანდაგო დისტანციის ხიდის ოსტატი; ქარუმიძე იოსებ გიორგის-ძე — ხაშურის საელექტრომავლო დეპოს უფროსი; კანდელაკი ვლას გიორგის-ძე — თბილისის დეპოს მემანქანე; მანჯავიძე გიორგი მალაქიას-ძე — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის ოსტატი; მანთაშევი ბერთან ივანეს-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამარაგო ნაწილების განყოფილების უფროსი; მელქაძე გიორგი იაკინთეს-ძე — თბილისის დეპოს ინსტრუქტორი-მემანქანე; მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო სამსახურის უფროსი; ნაგორნი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსი; ნოვოსორტოვი ლეონიდე მურადის-ძე — საორთქლმავლო მეურნეობის ლენინაკანის ყოფ. უფროსი, ახლა გზის მოძრაობის უშიშროების რევიზორი; ხიზანაშვილი შალვა ალექსის-ძე — თბილისის დეპოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი; წიკლაური ანდრო ვასილის-ძე — თბილისის დეპოს ინსტრუქტორი-მემანქანე, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—ბაგიშვილი გიორგი სოლომონისძე—სამტრედიის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი; გაგნიძე თამარ როსტომის-ასული—თბილისის დეპოს ინჟინერი; დუნდუა შალვა მირონის-ძე—მოძრაობის სამტრედიის განყოფილების დისპეტჩერი; გოგავა ვლადიმერ სამსონის-ძე — ბათუმის კვანძის პარტკომის მდივანი; ივანოვი სერგო ნიკოლოზის-ძე მოძრაობის თბილისის განყოფილების დისპეტჩერი; ყიფიანი მიხეილ ვლადიმერის-ძე კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი; ლეჟავა შალვა ივანეს-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სატვირთო სამსახურის უფროსი; მაცაბერიძე გაბრიელ ევგენის-ძე — სავაგონო სამსახურის უფროსი; რუხაძე ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე—ზესტაფონის დეპოს მემანქანე; ტაბატაძე დავით ბარამის-ძე—მოძრაობის სამტრედიის განყოფილების უფროსი; ტერტერაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — მოძრაობის დარგის თბილისის განყოფილების მორიგე; ხაბეიშვილი ილია აპოლონის-ძე—სამტრედიის დეპოს ბრიგადირი; ცხვარაძე ეპიფანე თომას-ძე სამტრედიის დეპოს უფროსი; ცქიფურიშვილი ვასილ სიმონის-ძე — შორაპნის დეპოს მემანქანე;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — ვოსკანოვი ხაჩატურ თათეოსის-ძე—ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე; ვარდოსანიძე გრიგოლ ვლადიმერის-ძე — სალიანდაგო სამსახურის უფროსი; ესაკია გიორგი სოლომონის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე; იოსელიანი მამია იასონის-ძე — თბილისის საქონლის სადგურის უფროსი; ლატიშევი კორნელი ივანეს-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე და კადრების ჯგუფის უფროსი; ნემსიწვერიძე აბელ ლუკას-ძე—ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსი; პაიჭაძე კაპიტონ ათანასეს-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსი; ფარცვანია კარპეზ პახვალას-ძე — თბილისის სამგზავრო სადგურის უფროსი; რუდაკოვი მიხეილ დიმიტრის-ძე — ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსის მოადგილე; ჩაგუნავა კონსტანტინე ნესტორის-ძე — თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსი.

თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის და ძირითად სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა, განსაკუთრებით ბამბის და მეცხოველეობის ხაზით გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის 254 მოწინავე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: **ა. ხ. აკმაევი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) კერკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ჰალი ყული **ბაირამ ყული** — ბაირამალის რაიონის „ტეზე-ელის“ კოლმეურნეობის ჩობანი, რომელმაც 1938 წელს გამოზარდა 96 დედა-ცხვრის 152 კრავი და 1939 წელს — 246 დედა-ცხვრის 376 კრავი, **ბ. ბალტაევი** — ფარაბის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირის“ ბრიგადირი, რომელმაც უზრუნველჰყო 1938 წელს 39,6 ცენტნერი ბამბის მოსავალი თითო ჰექტარზე, ალა ბერდი **ბერდიევი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, **ა. ხუდაი-ბერგენოვი** — თურქმენეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 40 კაცი. მათ შორის ამხ. **ხ. ბაბაევი** — თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ატა მურად **ბაზაროვი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) ჩარჯოუს რაიკომის მდივანი, **ა. ვ. ბარაბაშევი** ტახტის მტს დირექტორი, მურად ანა მამედ **ვოლი** — მარინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ყზილ-გუჩის“ მერგოლური, რომელმაც 1939 წელს 35 ცენტნერი ეგვიპტური ბამბა მოიყვანა თითო ჰექტარზე, **ან. გლაზუნოვი** — თურქმენეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ატა ამან **დურდიევი** — თურქმენეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ს. დ. იონიჩევი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი, **ხ. ხ. მამატკაზინი** — უჩ-აჯის მეკრავეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, **მ. მუხადოვი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, აკ მამედ **სარიევი** — თურქმენეთის სსრ მიწათმოქმედების სახკომი, ოგულ მურად **სეიდ-ყულიევი**—თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, **მ. სუვხანი** ხოჯამბასის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 1939 წელს 30 ცენტნერი ბამბა მოიყვანა თითო ჰექტარზე, და სხვ.

საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია 53 კაცი, მათ შორის გულ ნაჩილ **აჭრი** — ტახტა-ბაზარის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ ბამბის მკრეფავი, რომელმაც 1939 წელს 5.000 კილოგრამი ბამბა მოკრიფა, ოგულ ყურბან **ამანჯა** — გეოკ-ტეპის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მეღორე ქალი, რომელმაც 1938 წელს 6 დედალორისაგან მიიღო 92 გოჭი. **ჩ. ბაბაევი** — თურქმენეთის კ. პ. (ბ) ხოჯამბასის რაიკომის მდივანი, **ლ. ს. ოვჩარენკო** — ტეჯენის წყალსაცავის მშენებლობის უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 65 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 78 კაცი. (საკდესი).

რკინიგზათა, მეტროს, გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის, ქარხნების, მშენებლობათა, სასწავლებელთა მუშაკებისა და მეცნიერ-მუშაკებისა და გამომგონებელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ცალცალკე ბრძანებულებებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა:

რკინიგზის ტრანსპორტის აღმავლობის საქმეში თვალსაჩინო წარმატებისა და სოციალისტური შრომის ნიმუშების მოცემისათვის სამხრეთ-დონეცის, ოქტომბრის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის, ამიერ-კავკასიის, ჩრდილო-დონეცის, კიროვის სტალინის, დასავლეთის, ლენინის, შორეულ-აღმოსავლეთის, ზღვისპირისა და ორჯონიკიძის რკინიგზების მუშაკები;

მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მიღწევებისა და მთავრობის სპეციალურ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის, მოსკოვ-კიევის, სამხრეთ-დასავლეთის, ბელორუსიის, ამურის, კალინინის, სამხრეთის, ოდესის, აღმოსავლეთ-ციმბირისა და ირგვლივი რკინიგზების მუშაკები:

რკინიგზების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და რკინიგზებით ტვირთის გადატანის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის: კრასნოიარსკის, თურქესტან-ციმბირის, კ. ე. ვოროშილოვის სახელობის, ტაშკენტის, აშხაბადის, იაროსლავლის, მოსკოვ-დონბასის, ორენბურგის, პენზისა და ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის გზების მუშაკები;

სანიმუშო მუშაობისათვის: ტომსკის, სამხრეთ - აღმოსავლეთის, სტალინგრადის, ომსკის, ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის, გორკის, სამხრეთ-ურალის, ყაზანის, პერმის, ჩრდილოეთის, რიაზან-ურალის გზების ცალკე მუშაკები.

რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის მუშაკები.

მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანის საქმეში მოსახლეობის სანიმუშო მომსახურებისათვის დაჯილდოებული არიან მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის მუშაკები.

დაჯილდოებული არიან საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამასთან სოციალისტური შრომის ნიმუშების მოცემისათვის — გზათა სახალხო კომისარიატის ქარხნების მუშაკები და რკინიგზის მშენებლობის საქმეში სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და მუშაობის ნიმუშების მოცემისათვის — რკინიგზის ტრანსპორტის მშენებლები.

გამომგონებლობის საქმეში და ახალი ტექნიკის დანერგვაში შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია რკინიგზის ტრანსპორტის გამომგონებელთა ჯგუფი.

რკინიგზის კადრების მომზადების დარგში დამსახურებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატის სასწავლებელთა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკთა ჯგუფი.

სულ დაჯილდოებულია 3.064 კაცი. აქედან: ლენინის ორდენით — 206 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 381, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 599, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 834 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 1.044 კაცი.

დაჯილდოებულია: 43 რკინიგზის 2.374 მუშაკი, მეტროსი — 71, გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატისა — 115, ტრანსპორტის ქარხნებისა — 204, სასწავლებელთა და სამეცნიერო დაწესებულებათა — 57, გამომგონებელი — 40, რკინიგზის მშენებლობის მუშა — 203 კაცი.

რკინიგზების დაჯილდოებულ მუშაკთა შორის უმაღლესი ხელმძღვანელი შემადგენლობა 305 კაცია, საშუალო—534, მუშა—1.315 კაცი. დაჯილდოებულთა შორის 211 მეორთქლმავლეა აქედან — 538 მემანქანე და მემანქანეთა თანაშემწე, 583 — მოძრაობის დარგის მუშაკი, 193—საგზაო დარგის მუშაკი და 156 მევაგონე.

ყველა დაჯილდოებულთა სახელობითი სია ქვეყნდება გაზეთ „გუდოკში“.

ეს დაჯილდოება წარმოადგენს სოციალისტური ტრანსპორტის ახალ წარმატებათა დამამტკიცებელ საბუთს, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის მუშაკებისადმი პარტიისა და მთავრობის ყურადღებისა და მზრუნველობის გამოხატულებას. რკინიგზელთა არმიის მხრივ ამ მაღალი ჯილდოს პასუხი იქნება ახალი საწარმოო აღმავლობა, მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა.

(საკდესი).

ზეიმი ჩრდილო-ოსეთში

ორჯონიკიძე (ჩრდილო-ოსეთი), 23 ნოემბერი (საკდესი). გუშინ დამთავრდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 80 წლისთავისადმი.

კრების დახურვისას საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივანმა ორდენოსანმა ამხ. ფადეევმა ტაშის გრიალში მრავალჟამიერ უსურვა ხალხთა მეგობრობას, თავისუფლებისმოყვარულ ოს ხალხს, დიდ **სტალინს**.

დღეს საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა — მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა და ქალაქის მშრომელებმა ინახულეს ხეთაგუროვის საფლავი ორჯონიკიძეში, სადაც სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. საფლავი მრავალი გვირგვინით შეამკეს.

ცნობა

თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიისა

„საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის), სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" მე-79 მუხლის თანახმად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისია იუწყება, რომ ქვემოდ დასახელებული პირნი სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებული არიან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.

№ 61 საარჩევნო ოლქი

მახარაძე ფილიპე იესეს-ძე 1866 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, წამოყენებული თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 97 საარჩევნო ოლქი

იმხანოვი სერგი მარტინის-ძე, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი, წამოყენებული ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 132 საარჩევნო ოლქი

ბრეგვაძე ნინო დავითის-ასული, 1906 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ობსერვატორიის ხელსაწყოთა შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი. წამოყენებული ჰიდრომეტეოროლოგიური ბიუროს თბილისის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 111 საარჩევნო ოლქი

ბრატიშევი ვასილ ივანეს-ძე, 1896 წელს დაბადებული, უპარტიო, ტრესტ თბილმშენის № 2 სამშენებლო ქარხნის ხარატი, წამოყენებული ტრესტ თბილმშენის № 2 სამშენებლო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 67 საარჩევნო ოლქი

მურადაშვილი მარიამ ივანეს-ასული, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სტალინის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი, წამოყენებული თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს" მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 137 საარჩევნო ოლქი

კოკაჩეიშვილი გრიგოლ პეტრეს-ძე, 1899 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, წამოყენებული თბილისის კინოსტუდიის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 103 საარჩევნო ოლქი

გოგოძე ბიძინა პლატონის-ძე, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მმართველი, წამოყენებული ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 98 საარჩევნო ოლქი

ჰელიძე ვიქტორ მიხეილის-ძე, 1909 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სტალინის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, წამოყენებული თბილისის საფანერო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 121 საარჩევნო ოლქი

როინიშვილი ნინო დავითის-ასული, 1912 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის სარძეო ქარხნის ტექნოლოგი, წამოყენებული თბილისის სარძეო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 91 საარჩევნო ოლქი

მუხაძე გიორგი მიხეილის-ძე, 1887 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორი, წამოყენებული საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალის და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 81 საარჩევნო ოლქი

ფარცვანია მარიამ სევერიანეს-ასული, 1911 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, თამბაქოს ფაბრიკის ხარატი, წამოყენებული თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 123 საარჩევნო ოლქი

ბეჟანიშვილი გიორგი დიმიტრის-ძე, 1895 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის საბჭოს საექსპერტო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, წამოყენებული თბილმშენის № 2 სამშენებლო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 107 საარჩევნო ოლქი

უსოვი იოსებ ნიკოლოზის-ძე, 1893 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ლითონის კონსტრუქციათა თბილისის ქარხნის დირექტორი. წამოყენებული ლითონის კონსტრუქციათა თბილისის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 66 საარჩევნო ოლქი

აპრესოვა ბარბალე გიორგის-ასული, 1889 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის ფაბკომის თავმჯდომარის მოადგილე, წამოყენებული თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 94 საარჩევნო ოლქი

ცქიტიშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე, 1912 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი, წამოყენებული თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 136 საარჩევნო ოლქი

ღირდელაძე იონა გრიგოლის-ძე, 1913 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის საფანერო ქარხნის საფანერო დაზგის მედაზგე, წამოყენებული თბილისის საფანერო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 74 საარჩევნო ოლქი

ქუთათელაძე თინა კონსტანტინეს-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილმშენის 1-ლი სამშენებლო კანტორის უფროსი, წამოყენებული თბილმშენის 1-ლი სამშენებლო კანტორის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 117 საარჩევნო ოლქი

აბესაძე მიხეილ ელეფთერის-ძე, 1906 წელს დაბადებული, უპარტიო, კავტრანსპროექტის ინჟინერი, წამოყენებული კავტრანსპროექტის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 90 საარჩევნო ოლქი

უმიკოვი ნერსეს ზაქარიას-ძე, 1865 წელს დაბადებული, უპარტიო, ტუბერკულოზის დისპანსერის საბავშვო განყოფილების გამგე, წამოყენებული მე-3 პოლიკლინიკის მუშათა მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 135 საარჩევნო ოლქი

პატარიძე შალვა სპირიდონის-ძე, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამამუშავებელი ქარხნის საავეჯო საამქროს უფროსი, წამოყენებული თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამამუშავებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 78 საარჩევნო ოლქი

კახიანი ევგენია აფრასიონის-ასული, 1913 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მაცივარკომბინატის შემფუთავი, წამოყენებული თბილისის მაცივარკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 138 საარჩევნო ოლქი

კოლოდეჟინა პოლინა ნესტორის-ასული, 1920 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, სახელგამის სტამბის მკინძავი, წამოყენებული სახელგამის სტამბის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 109 საარჩევნო ოლქი

გოგისვანიძე ვარლამ მარკოზის-ძე, 1901 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანი, წამოყენებული თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 398 საარჩევნო ოლქი

ჩხუბიანი ნინო ნიკოლოზის-ასული, 1901 წელს დაბადებული, უპარტიო, „ზარია ვოსტოკას" რედაქციის წერილების განყოფილების ინსტრუქტორი, წამოყენებული კომბინატ „ზარია ვოსტოკას" მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 76 საარჩევნო ოლქი

ოქრუაშვილი დავით დიმიტრის-ძე, 1905 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ტრამვაი - ტროლეიბუსის სამმართველოს პარტბიუროს მდივანი, წამოყენებული ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 413 საარჩევნო ოლქი

მახარაძე რიმა კარაპეტის-ასული, 1906 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ტელეგრაფისტი, წამოყენებული თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 402 საარჩევნო ოლქი

კერესელიძე იპოლიტე გიორგის-ძე, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს საწარმოო განყოფილების ინჟინერ-გეოლოგი, წამოყენებული საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 367 საარჩევნო ოლქი

კუპრაძე გაბრიელ დიმიტრის-ძე 1906 წელს დაბადებული, უპარტიო, თელასის მთავარი ინჟინერი, წამოყენებული თელასის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 230 საარჩევნო ოლქი

თიკანაძე მიხეილ იაგორის-ძე, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მასწავლებელი, წამოყენებული თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 261 საარჩევნო ოლქი

ჰაბაშვილი იოსებ გაბრიელის-ძე, 1910 წელს დაბადებული საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის 1-ლი სამკერვალო კორპუსის გადამჭიმავი, წამოყენებული ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 262 საარჩევნო ოლქი

შატბერაშვილი ვლადიმერ მიხეილის-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის წისქვილკომბინატის ელექტრომონტიორი, წამოყენებული თბილისის წისქვილკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 85 საარჩევნო ოლქი

ხოფერია ნინო ოქროპირის-ასული, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, თბილისის მე-44 სკოლის მასწავლებელი ქალი, წამოყენებული სტალინის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 86 საარჩევნო ოლქი

რამიშვილი ნადეჟდა მირიანის-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მე-107 საშუალო სკოლის მასწავლებელი, წამოყენებული სტალინის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 83 საარჩევნო ოლქი

ბულგაკოვი იბრაჰიმ რახიმის-ძე, 1882 წელს დაბადებული, უპარტიო, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ვაგონის წამყვანი, წამოყენებული ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 246 საარჩევნო ოლქი

ლობანოვა ანასტასია იაკობის-ასული, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ქაღალდის ფაბრიკის დამხარისხებელი საამქროს მუშა, წამოყენებული თბილისის ქაღალდის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 249 საარჩევნო ოლქი

ფედოსეევი ტიმოთე ტიმოთეს-ძე, 1920 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მე-2 სამკერვალო კორპუსის ლანჩის დამდები, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 290 საარჩევნო ოლქი

არუთინოვი გურგენ გრიგოლის-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის 1-ლი სამკერვალო კორპუსის უფროსი, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 65 საარჩევნო ოლქი

ცერცვაძე პეტრე ვასილის-ძე, 1915 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს" ოსტატის თანაშემწე, წამოყენებული კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს" მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 380 საარჩევნო ოლქი

ბუჩქიაშვილი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე, 1899 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბერიას სახელობის რაიონში. წამოყენებული ცეკავშირის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 385 საარჩევნო ოლქი

შიხმანი მინა ვლადიმერის-ასული, 1910 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, რეზინგასალების საქართველოს განყოფილების მმართველი, წამოყენებული რეზინგასალების საქართველოს განყოფილების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 104 საარჩევნო ოლქი

ტიმოფეევა ანა დიმიტრის-ასული, 1895 წელს დაბადებული, უპარტიო, აფთიაქების სამმართველოს მედბაზის საამქროს გამგის მოადგილე, წამოყენებული აფთიაქების სამმართველოს მედბაზის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 386 საარჩევნო ოლქი

კანდელაკი პავლე მამანტის-ძე, 1900 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, წამოყენებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 392 საარჩევნო ოლქი

შახ-აზიზოვი კონსტანტინე იაზონის-ძე, 1903 წელს დაბადებული, უპარტიო, ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის დირექტორი, წამოყენებული ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის კოლექტივის საერთო კრების მიერ.

№ 252 საარჩევნო ოლქი

შჩედრინა ვალენტინა ნიკოლოზის-ასული, 1916 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თბილისის მარგარინის ქარხნის კნეტ-მანქანის მუშა, წამოყენებული თბილისის მარგარინის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 254 საარჩევნო ოლქი

ზიზენკოვა ალექსანდრა დიმიტრის-ასული, 1909 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ხორცკომბინატის მნორმავი, წამოყენებული თბილისის ხორცკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის მიერ.

№ 263 საარჩევნო ოლქი

გიგოლოვი მიხეილ გიორგის-ძე, 1885 წელს დაბადებული, უპარტიო, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, წამოყენებული ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს მედპერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 276 საარჩევნო ოლქი

მუზანია პლატონ გიორგის-ძე, 1891 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს მთავარი ექიმი, წამოყენებული ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს მედპერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 272 საარჩევნო ოლქი

ბერიძე აგრაფინა იროდიონის-ასული, 1892 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-17 საშუალო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგთა საერთო კრების მიერ.

№ 277 საარჩევნო ოლქი

ყაზაროვა ბარბალე გიორგის-ასული, 1891 წელს დაბადებული, უპარტიო, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმი, წამოყენებული ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს მედპერსონალის, მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 278 საარჩევნო ოლქი

ურუშაძე ავქსენტი სილიბისტროს-ძე, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის მილიციის სკოლის უფროსი, წამოყენებული, თბილისის მილიციის სკოლის კურსანტთა, პედაგოგთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 285 საარჩევნო ოლქი

კოკოშვილი თეკლე ანდრიას-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მაკარონის ფაბრიკის ჩამლაგებელი, წამოყენებული თბილისის მაკარონის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 287 საარჩევნო ოლქი

ბოლოტსკაია ეკატერინე ივანეს-ასული, 1902 წელს დაბადებული, უპარტიო, ხორცკომბინატის ღილების საამქროს მუშა, წამოყენებული ხორცკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 289 საარჩევნო ოლქი

სნაბკოვა ალექსანდრა ივანეს-ასული, 1902 წელს დაბადებული, უპარტიო, წისქვილის ნაჯახის განყოფილების მუშა, წამოყენებული თბილისის წისქვილკომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 293 საარჩევნო ოლქი

ბიბილური პელაგია მიხეილის-ასული, 1892 წელს დაბადებული, უპარტიო, დიასახლისი, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოების, პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 294 საარჩევნო ოლქი

ახვლედიანი ვახტანგ იასონის-ძე, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის რადიოცენტრის ინჟინერი, წამოყენებული თბილისის რადიოცენტრის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 295 საარჩევნო ოლქი

რობაქიძე გიორგი აბესალომის-ძე, 1907 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 124 საარჩევნო ოლქი

უსტარეიშვილი მარიამ ალექსანდრეს-ასული, 1918 წელს დაბადებული, უპარტიო, საქპურტრესტის თბილისის № 1 პურის ქარხნის მთელელი, წამოყენებული საქპურტრესტის თბილისის № 1 პურის ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 101 საარჩევნო ოლქი

კვირკველია რაფიელ არტემის-ძე, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, წამოყენებული თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 80 საარჩევნო ოლქი

ცხვედიანი ტატიანა ტარასის-ასული, 1919 წელს დაბადებული, საკ. ალკკ წევრი, თვალის სნეულებათა თბილისის ინსტიტუტის ფერშალი, წამოყენებული თვალის სნეულებათა თბილისის ინსტიტუტის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 116 საარჩევნო ოლქი

ტურაბელიძე ნინო სერაფიონის-ასული, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ფარმაკოლოგიურ-ქიმიური ქარხნის საამპულო საამქროს ლაბორანტი, წამოყენებული თბილისის ფარმაკოლოგიურ - ქიმიური ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 73 საარჩევნო ოლქი

კეინგი ვალენტინა ივანეს-ასული, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის № 2 სამშენებლო ქარხნის ინჟინერი, წამოყენებული თბილისის № 2 სამშენებლო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 126 საარჩევნო ოლქი

გოლეთიანი არტამონ ანდრიას-ძე, 1894 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის გამგე, წამოყენებული თბილისის კუიბიშევის სახელობის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 25 საარჩევნო ოლქი

გეგელაშვილი თამარა სოლომონის-ასული, 1898 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-4 ერთიანი დისპანსერის უბნის ექიმი, წამოყენებული ლენინის რაიონის მედმუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 64 საარჩევნო ოლქი

კვინიკაძე ვალერიან ნიკოლოზის-ძე, 1900 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის მე-3 საექსპლუატაციო განყოფილების უფროსი, წამოყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის მე-3 საექსპლუატაციო განყოფილების მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 27 საარჩევნო ოლქი

კავილაძე პავლე პორფირის-ძე, 1886 წელს დაბადებული, უპარტიო რკინიგზის თბილისის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმი, წამოყენებული რკინიგზის თბილისის ცენტრალური პოლიკლინიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 15 საარჩევნო ოლქი

კიკნაძე გიორგი სიმონის - ძე, 1897 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი, წამოყენებული ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 35 საარჩევნო ოლქი

ბოჭორიშვილი გიორგი გაბრიელის-ძე, 1909 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის სარემონტო საამქროს ოსტატი, წამოყენებული თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 19 საარჩევნო ოლქი

ტაბატაძე ერმოლოზ პავლეს-ძე 1903 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის დეპოს მემანქანე, წამოყენებული თბილისის დეპოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 68 საარჩევნო ოლქი

ქავთარაძე ნინო პავლეს-ასული, 1905 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის საკამვოლო საამქროს მგრეხელი, წამოყენებული თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 125 საარჩევნო ოლქი

ჭრელაშვილი სოფიო ნიკოლოზის-ასული, 1900 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის დოცენტი, წამოყენებული საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისა და სტუდენტთა საერთო კრების მიერ.

№ 99 საარჩევნო ოლქი

გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე, 1904 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველი მდივანი, წამოყენებული თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 69 საარჩევნო ოლქი

კვანტალიანი ვლადიმერ მელქისედექის-ძე, 1908 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე, წამოყენებული ლითონის კონსტრუქციების თბილისის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 151 საარჩევნო ოლქი

ქართველიშვილი პეტრე ბესარიონის-ძე, 1896 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი, წამოყენებული თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 195 საარჩევნო ოლქი

ჯავახიშვილი ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე, 1903 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ავტომატური ტელეფონო სადგურის დირექტორი, წამოყენებული საქენერგოს ქსელის 1-ლი რაიონის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 142 საარჩევნო ოლქი

შახნაზაროვი აშოტ კარაპეტის-ძე, 1897 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, სახელგამის ბეჭდვითი საქმის კომბინატის დირექტორი, წამოყენებული სახელგამის ბეჭდვითი საქმის კომბინატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 296 საარჩევნო ოლქი

მხეიძე მარიამ იულიანის-ასული, 1898 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, მე-64 საშუალო სკოლის დირექტორი, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 297 საარჩევნო ოლქი

ხვედელიძე ნიკოლოზ სიმონის-ძე, 1910 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მე-2 კორპუსის ცივმჭედავი, წამოყენებული თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 302 საარჩევნო ოლქი

პოლოხოვა ანა აკოფის - ასული, 1912 წელს დაბადებული, უპარტიო, ფაბრიციუსის სახელობის ქარხნის მგეგმავი - ეკონომისტი, წამოყენებული ფაბრიციუსის სახელობის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 303 საარჩევნო ოლქი

ზესჩეტნოვა ანასტასია სერგის-ასული, 1904 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის მარგარინის ქარხნის მუშა ემულსატორი, წამოყენებული თბილისის მარგარინის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 304 საარჩევნო ოლქი

ავაქიანი სუსანა ბეგლარის-ასული, 1894 წელს დაბადებული, უპარტიო, მე-86 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, წამოყენებული 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 307 საარჩევნო ოლქი

ცხადაძე ანეპოდისტე კონსტანტინეს-ძე, 1909 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორი, წამოყენებული საქმარცვალდამზადების ნავთლუღის ბაზის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 312 საარჩევნო ოლქი

სარქისოვი პავლე ილიას-ძე, 1906 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის მილიციის სკოლის პარტბიუროს მდივანი, წამოყენებული თბილისის მილიციის სკოლის კურსანტებისა და პედაგოგიური პერსონალის საერთო კრების მიერ.

№ 412 საარჩევნო ოლქი

ჩოჩია ვერა პეტრეს-ასული, 1912 წელს დაბადებული, უპარტიო, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი ინსპექტორი, წამოყენებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური და თბილისის კანტორების მუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 75 საარჩევნო ოლქი

აბაშიძე თამარ ვასილის-ასული, 1907 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის პედაგოგი, წამოყენებული თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 88 საარჩევნო ოლქი

თარხნიშვილი მარიამ ესტატეს-ასული, 1891 წელს დაბადებული, უპარტიო, ქართლ-კახური გუნდის ხელმძღვანელი, წამოყენებული საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 257 საარჩევნო ოლქი

ბეჟანოვი ხაჩიკ მარქარის-ძე, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგე, წამოყენებული თბილისის ზეთსახდელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 105 საარჩევნო ოლქი

სარქისოვი მანუკ გრიგოლის-ძე, 1902 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის დირექტორი, წამოყენებული თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის, საერთო კრების მიერ.

№ 118 საარჩევნო ოლქი

ხვედელიანი დარია ილარიონის-ასული, 1902 წელს დაბადებული, უპარტიო, რაიონული ექიმი-პედიატრი, წამოყენებული ბავშვთა და ქალთა მე-3 კონსულტაციისა და № 2 ტუბდისპანსერის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 160 საარჩევნო ოლქი

დიდია ევგენია მიხეილის-ასული, 1911 წელს დაბადებული, უპარტიო, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ეკონომისტ-ფინანსისტი, წამოყენებული საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 18 საარჩევნო ოლქი

ქათამაძე თინა ილიას-ასული, 1915 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, თბილისის დეპოს მემანქანე, წამოყენებული თბილისის დეპოს მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 24 საარჩევნო ოლქი

კოპლავაშვილი ერემია ივანეს-ძე, 1899 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორი, წამოყენებული თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 220 საარჩევნო ოლქი

სამადაშვილი ზაქარია გიორგის-ძე, 1898 წელს დაბადებული, უპარტიო, სანაპირო ქუჩის მშენებლობის ბრიგადირი, წამოყენებული სანაპირო ქუჩის მშენებლობის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 155 საარჩევნო ოლქი

ჩომახიძე ვლადიმერ იოსების-ძე, 1911 წელს დაბადებული, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე, წამოყენებული თელასის სახელოსნოების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 140 საარჩევნო ოლქი

ხუციშვილი გრიგოლ ივანეს-ძე, 1893 წელს დაბადებული, უპარტიო, სახელგამის ბეჭდვითი საქმის კომბინატის სალინოტიპო საამქროს უფროსი, წამოყენებული სახელგამის ბეჭდვითი საქმის კომბინატის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 172 საარჩევნო ოლქი

ჯავახოვა სათენიკ მიხეილის-ასული, 1899 წელს დაბადებული, უპარტიო, დიასახლისი, წამოყენებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტის მუშაკთა საერთო კრების მიერ მოლოტოვის რაიონში.

№ 219 საარჩევნო ოლქი

მაზმიანი ვაჩაგან ასატურის-ძე, 1893 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის მეფეხსაცმლე, წამოყენებული თბილისის № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ.

№ 442 საარჩევნო ოლქი

მარკოზაშვილი ნინო გიორგის-ასული, 1917 წელს დაბადებული, უპარტიო, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, წამოყენებული თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა; მოსამსახურეთა და ინტელიგენციის საერთო კრების მიერ.

№ 133 საარჩევნო ოლქი

დაგაევი ვიქტორ ნიკოლოზის-ძე, დაბადებული 1905 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, რომელიც წამოყენებულია № ნაწილის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 127 საარჩევნო ოლქი

კრივოპუსკი თეოდორე კონდრატის-ძე, დაბადებული 1917 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი, პოლიტხელის მოადგილე, რომელიც წამოყენებულია № ნაწილის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საერთო კრების მიერ.

№ 129 საარჩევნო ოლქი

ვოლობუევი ანდრია პავლეს-ძე, დაბადებული 1905 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, რომელიც წამოყენებულია № ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა და თანამშრომელთა საერთო კრების მიერ.

თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
დ. ჭიჭინაძე
თავმჯდომარის მოადგილე ქ. ერისთავი
მდივანი ა. კვაჭაძე

კომისიის წევრები:
ა. აბესაძე
მ. მარკოზაშვილი
ქ. ზავრიევი
დ. შენგელაია
ე. გვარამაძე
ა. ტოჩილინი
გ. ცქიტიშვილი
მ. ჩუბინიძე
გ. ანთელიძე
თ. ქათამაძე
ს. ამირჯანოვი
ნ. ჩარკვიანი.

პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერა

1940 წლის 1-დან 8 იანვრამდე სსრ კავშირის მთელს ტერიტორიაზე (განაპირა ჩრდილოეთის შორეული რაიონების გამოკლებით) ჩატარდება პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერა. ზოგიერთი ძნელადმისასვლელი რაიონისათვის დაწესებულია უფრო ადრეული ვადები. პამირზე და არალისა და კასპის ზღვების კუნძულებზე პირუტყვის აღწერა უკვე დაიწყო.

პირუტყვის აღწერის მოწყობა და ხელმძღვანელობა სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დააკისრა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს. აღწერას ჩაატარებს 200 ათასზე მეტი კაცი—აღმრიცხველები, საკონტროლო შემოვლის ბრიგადირები და სხვ. მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოწყობილია პირუტყვის აღწერის ბიუროები, რაიონებში კი—საააღწერო განყოფილებანი და სააღრიცხვო უბნები. (საკდესი).

კოლმეურნეთა დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

მოსკოვი, 24 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). ნატანების სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან დაბრუნდა მოსკოვის ოლქის სოფელ სუხარევოს კოლმეურნეთა დელეგაცია, დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. კოროტკოვმა განუცხადა თქვენს კორესპონდენტს, რომ საქართველოში გატარებული დღეები სამუდამოდ დაანახსოვრდებათ დელეგაციის მონაწილეებს. შეხვედრა ატარებდა ძმურ ხასიათს, ჩატარდა მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება. სუხარევოს სასოფლო საბჭოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ნატანების სასოფლო საბჭოსთან და კოლმეურნეობასთან შეჯიბრების ხელშეკრულებას.

კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები

ამხ. დ. ა. ჭიჭინაძე

ამხ. დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1902 წელს. ბავშვობა სილატაკეში გაატარა. ამ 18 წლის წინათ მან მუშაობა დაიწყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში უბრალო მუშად, მაგრამ მალე შეისწავლა მჭედლობა და ბრიგადირიც გახდა.

ამხ. დ. ჭიჭინაძე საქართველოში სტახანოვური მოძრაობის ერთერთი მედროშეა.

სტახანოვური შრომის ეს საუკეთესო ოსტატი მრავალჯერ იყო დაჯილდოებული ძვირფასი საჩუქრებით, ხოლო საქართველოს წარჩინებულ ადამიანთა კრემლში მიღების დროს იგი საბჭოთა მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ნიჭიერ ორგანიზატორსა და მოწინავე მუშას პარტიამ მუშაობის საუკეთესო პირობები შეუქმნა და მანაც საუკეთესოდ გამოიყენა ეს დახმარება.

1937 წელს ამხ. ჭიჭინაძე დაწინაურებულ იქნა ქარხნის კომერციულ დირექტორად. მან მალე აითვისა ეს ახალი სამუშაოც და ყველა გრძნობდა მის ხელს ამ პოსტზე. 1938 წ. იანვარში ამხ. დავითს ნიშნავენ ქარხნის უფროსად, რა თანამდებობაზედაც ის ახლაც განაგრძობს მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით ქარხანამ შარშან ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და წელსაც წლიურ გეგმას 11 თვეში ასრულებს.

ამხ. ჭიჭინაძემ საქმით დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, რომლის სახელოვანი წევრიც ის არის, და სამართლიანად დაიმსახურა ქარხნის მთელი კოლექტივის ნდობა და სიყვარული.

ამხ. დ. ჭიჭინაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამასთან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების წევრია.

ამჟამად ის სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივის მიერ წამოყენებულია თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ზ. ს. ნადირაძე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის სახელგანთქმული სტახანოველი ამხ. ზაქარია სოლომონის-ძე ნადირაძე დაიბადა ქ. თბილისში 1898 წელს. მამამისი ახლაც სტალინის სახელობის ქარხანაში მუშაობს. თბილისის სახელოსნო სასწავლებლის ორი კლასის დამთავრების შემდეგ ამხ. ზაქარია 1913-დან 1917 წლამდე მუშაობდა გაუფის, ხოლო შემდეგ იარალოვის კერძო ქარხნებში. 1918 წელს ის გადავიდა თბილისის საორთქლმავლო დეპოში, სადაც მუშაობდა 1926 წლამდე, 1926 წლიდან კი მუშაობს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში.

ამხ. ზ. ნადირაძე, რომელმაც მუშაობა დაიწყო კერძო მწარმოებელთან, როგორც უბრალო მუშამ, თანდათან იზრდებოდა და დღეს იგი მაღალი კვალიფიკაციის სტახანოველი ზეინკალი, მექანიკოსი, ავტოშემდუღებელია. ის ისე დაეუფლა სტახანოვურ მეთოდს, რომ დავალებებს ყოველთვის საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში რეკორდებს ამყარებს, დავალებებს ათასზე მეტი პროცენტით ასრულებს. ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავს გეგმის 2100 პროცენტის შესრულებით შეხვდა.

თავისი რეკორდებით მან ფართოდ გაითქვა სახელი არა მარტო ქარხანაში, არამედ მთელ ტრანსპორტზე. საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულია „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით.

ამხ. ზ. ნადირაძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკად ითვლება ქარხანაში. თავისი საამქროს კულტკომისიის თავმჯდომარეა, ხელმძღვანელობს სტახანოვურ სკოლას და არაერთი სტახანოველი გამოუზრდია.

ქარხნის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამხ. ზ. ნადირაძის კანდიდატურას თბილისის საბჭოს დეპუტატობისათვის.

ამხ. თ. რ. გაგნიძე

ამხ. თამარ როსტომის-ასული გაგნიძე დაიბადა 1909 წელს თბილისში. 1925 წელს დაამთავრა მე-7 შრომის სკოლა, რის შემდეგაც მუშაობდა სტატისტიკოსად ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში. 1928 წელს შევიდა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელიც 1932 წელს დაამთავრა და მიიღო საორთქლმავლო მეურნეობის ინჟინრის ხარისხი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაგზავნეს თბილისის საორთქლმავლო დეპოში, სადაც გაიარა მემანქანის პრაქტიკა, მუშაობდა მემანქანის თანაშემწედ. შემდეგ გადაყვანილ იქნა ნორმავო ინჟინრის თანამდებობაზე. ამის შემდეგ მუშაობდა ინჟინრად რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში, ხოლო შემდეგ ტექნიკური სწავლების გამგედ. დეპოში ტექნიკური სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის 1938 წელს ის დაჯილდოებულ იქნა „სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნით“.

1939 წლის 1 იანვრიდან ამხ. თ. გაგნიძე დაწინაურებულ იქნა დეპოს უფროსის თანაშემწის პოსტზე და დღესაც ღირსეულად ასრულებს ამ პასუხსაგებ მოვალეობას.

ამხ. გაგნიძე ძველი კომკავშირელი და საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატია. ის დეპოში ითვლება აგიტატორად, კომკავშირის ბიუროს წევრად და თბილისის საბჭოს IX მოწვევის წევრად. დეპოს მუშაკთა კოლექტივში იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ამხ. გაგნიძე ერთხმად წამოაყენა თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. იგი რეგისტრირებულია მეათე საარჩევნო ოლქში.

ამხ. ე. ლ. გვარამაძე

ელენე (ლილი) ლევანის-ასული გვარამაძე დაიბადა 1913 წელს თბილისში. სწავლობდა მე-43 საშუალო სკოლაში და პარალელურად—საბალეტო სტუდიაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ქორეოგრაფიული განათლების დასამთავრებლად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა ლილი მიავლინა ლენინგრადს, სადაც მან 1930 წელს დაამთავრა ქორეოგრაფიული ტექნიკუმი.

ლენინგრადიდან დაბრუნებისთანავე ის მიიწვიეს თბილისის საოპერო თეატრში, სადაც დღესაც მუშაობს ბალეტის წამყვან სოლისტად.

თეატრში ყოველდღიური მუშაობა ხელს არ უშლიდა ლილის გაეგრძო სწავლა. მან დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ცხრა წლის განმავლობაში ლილი გვარამაძემ განახორციელა მთავარი პარტიები ბალეტებში — „დონ-კიხოტი“, „გედების ტბა“, „ესმერალდა“ „ქუჩრანი კვიცი“, „კოპელია“, „მალთაყვა“. ქართულ ოპერებში ის გამოდის, როგორც წამყვანი სოლისტი. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მოჰკიდა ცეკვების დადგმას.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ლილი გვარამაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. იგი აგიტატორია თბილისის საოპერო თეატრის ბალეტის საამქროში. იმავე დროს იგი მიმაგრებულია საარჩევნო უბანზე და სააგიტაციო მუშაობას ეწევა დიასახლისთა შორის.

პარტიამ და ხელისუფლებამ ახალგაზრდა ხელოვანი ღირსეულად დააფასა. 1936 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. 1937 წელს დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამხ. ელენე ლევანის-ასული გვარამაძე რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 420 საარჩევნო ოლქში.

ამხ. გ. ნ. ლეონიძე

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე დაიბადა სოფელ პატარძეულში (გარე-კახეთი) 1899 წლის 27 დეკემბერს.

გიორგი ლეონიძემ ადრე დაიწყო ლექსების წერა. მოწაფეობაში იგი რედაქტორობდა ახალგაზრდათა ხელნაწერ ჟურნალებს, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ წრეებს, ბეჭდავდა ისტორიულ ნარკვევებს და სხვ.

გ. ლეონიძე ისეთი ტიპის მოღვაწეა, რომელიც მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედება მრავალფეროვანია. მის ლექსებსა და პოემებს, რომლებიც ცალკე კრებულად წელს გამოიცა, დიდძალი მკითხველი ჰყავს. ახლო ხანში გამოდის მისი ლექსების კიდევ ორი კრებული და პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“.

მისი ლექსების წიგნი რუსულად დაიბეჭდა მოსკოვში.

გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის მთელი რიგი სამეცნიერო შრომებიც ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. მის მონოგრაფიებს სულხან-საბა ორბელიანზე, იოსებ თბილელზე, „შაჰნავაზიანზე“, საათნავაზე, ივანე მაჩაბელზე, ბესიკზე და სხვა ფართოდ იცნობენ ჩვენი მკითხველები. 1936 წ. პოეტი არჩეული იყო სრულიად საკავშირო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის დელეგატად.

1939 წლის 1 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გ. ნ. ლეონიძე დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წარმატებებისა და მიღწევებისათვის.

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძე რეგისტრირებულია თბილისის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 382 საარჩევნო ოლქში.

ამხ. დ. ს. ყიფშიძე

ამხ. დავით სიმონის-ძე ყიფშიძე დაიბადა 1902 წელს სოფ. ალავერდში (ზესტაფონის რაიონი) ღარიბი გლეხის ოჯახში, პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლაში, საშუალო კი — ქ. ქუთაისში.

1925 წელს ამხ. დ. ყიფშიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიური განყოფილება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ორჯონიკიძისა (ყოფ. ხარაგოულის) და ზესტაფონის რაიონებში სახალხო განათლების ხაზით (იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგე).

1934 წელს წარმატებით დაამთავრა მეცნიერული პედაგოგიკის ლენინგრადის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურა. ამის შემდეგ ამხ. დ. ყიფშიძე დაინიშნა ქ. ქუთაისის ს. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად.

1937 წლის ოქტომბერში ამხ. დ. ყიფშიძე დაინიშნა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, რა თანამდებობაზედაც იგი მუშაობდა 1938 წლის აგვისტომდე. ხოლო შემდეგ ამხ. ყიფშიძე დაინიშნა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად, სადაც მუშაობს ამჟამადაც.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად წამოაყენა ამხ. დ. ყიფშიძის კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობისათვის.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს № 446 საოლქო საარჩევნო კომისიამ ამხ. დ. ყიფშიძის კანდიდატურა გაატარა რეგისტრაციაში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად.



ამხ. კ. ს. ბაქრაძე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორთა, პედაგოგთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა მეცნიერი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, პროფ. კონსტანტინე სპირიდონის-ძე ბაქრაძე.

კ. ს. ბაქრაძე დაიბადა 1898 წელს, თბილისში. 1917 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია, ხოლო 1918 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში. 4 წლის შემდეგ ფრიადზე დაამთავრა ფილოსოფიური ფაკულტეტი.

1929 წელს იგი სამეცნიერო მივლინებაში გაგზავნეს საზღვარგარეთ. მან 2 წელი იმუშავა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში, რის შემდეგაც დაბრუნდა თბილისს.

1927 წლამდე თბილისის სახუნივერსიტეტში აბარებდა ე. წ. სადოქტორანტო გამოცდებს. ამავე წელს იგი მიიწვიეს უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ისტორიის ლექტორად. 1930 წლიდან პროფესორია.

პროფ. კოტე ბაქრაძის კალამს მრავალი ღირსშესანიშნავი შრომა ეკუთვნის. წერილებისა და მიმოხილვების გარდა საყურადღებოა მისი შრომები „დიალექტიკის პრობლემა გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიაში“, (1929 წ.), „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ და „შემეცნების საკითხი წინაკანტიანურ ფილოსოფიაში“.

პროფ. კოტე ბაქრაძე მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. იგი ფილოსოფიის ისტორიიდან კითხულობს ლექციებს წითელი არმიის ნაწილებში, კეცხოველის სახ. პარტპროპაგანდის სახლში და სხვ.

კ. ბაქრაძის კანდიდატურა რეგისტრირებულია თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნების № 447 საარჩევნო ოლქში.

ინჟინერი თამარ გაგნიძე

თამარ გაგნიძეს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ინჟინერი გამოსულიყო და მაინცდამაინც ორთქლმავლის სპეციალისტი გამხდარიყო.

— რატომ მარტო ვაჟებისთვის უნდა იყოს ორთქლმავალი ხელმისაწვდომი, განა კომბინეზონში გამოწყობილ ქალს კი არ შეუძლია აქროლოს რკინის რაში ველებზე!?

აეკვიატა გოგონას ეს ფიქრი და მოსვენებას არ აძლევდა. ორთქლმავლის ხმას რომ გაიგონებდა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა—ახ, როდის იქნება ამ საყვირს ხელი მე ჩამოვკრაო.

სკოლაში შეიყვანეს...

მაგრამ ერთბაშად მას უბედურება ეწია. 12 წლისას მამა გარდაეცვალა. ისედაც გაჭირვებული ოჯახის შვილს ვინღა გამიწევს დახმარებასო, — სწუხდა ბავშვი.

მაგრამ მას დამხმარედ უფროსი და გამოუჩნდა, რომელმაც მეორე დედობა გაუწია და შრომის სკოლა დაამთავრებინა.

თამარი უკვე ჭკუადამჯდარი ქალია. ინჟინრად გახდომის ბავშვური ოცნება მას მტკიცე მიზნად გადაექცა. მაგრამ მატერიალური ბაზა? სულ ხომ დას ვერ შეაწუხებს. გადასწყვიტა დროებით გადაედო უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ის სამსახურს იწყებს და სტატისტიკოსი ხდება, ცოტა წელს იმაგრებს და 1928 წელს სატრანსპორტო ინსტიტუტში შედის. საბჭოთა ხელისუფლება მას სტიპენდიას უნიშნავს. კომკავშირში ებმება. კომკავშირული წრე, მეცადინეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა სულ სხვა ადამიანად ჰქმნიან თამარს. ის უკვე აქტიური კომკავშირელი სტუდენტი ქალია, რომლისთვისაც ინჟინრობა და ორთქლმავალი ოცნება კი აღარ არის, არამედ ადვილად მისაღწევი საქმეა, ოღონდ იმეცადინე და იშრომე.

1932 წელს მან ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინრის „კარგი“ ხარისხის დიპლომით გაჰგზავნეს სამუშაოდ თბილისის საორთქლმავლო დეპოში. რასაც ბავშვობიდან ეტრფოდა, აუსრულდა. ის ორთქლმავალზე დასვეს როგორც მემანქანის თანაშემწე და კომბინეზონში გამოწყობილი ქალიშვილი გაუდგა ველებს რკინის რაშით ხან აქსტაფისა, ხან ხაშურისა და ხან სანაინისაკენ. ის, რაც ინსტიტუტში თეორიულად ისწავლა, ახლა პრაქტიკული გამოცდილებით განამტკიცა, ჩააბარა გამოცდა მემანქანის თანაშემწისა და მეორთქლმავლე გახდა.

თამარი ნორმირების დარგის ინჟინრად ინიშნება, შემდეგ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ინჟინრად ნიშნავენ, შემდეგ ტექსწავლებას ხელმძღვანელობს. მეორთქლმავლე ქალი, — ინჟინერი თანდათან იზრდება, ხელმძღვანელის მშვენიერ თვისებებს ამჟღავნებს. როგორც ტექსწავლების კარგ ორგანიზატორს, მას „სტალინური გაწვევის დამკვრელის ნიშნით“ აჯილდოებენ.

თამარს სწრაფი ზრდა ეტყობა. ეს შეუმჩნეველი არ რჩება დეპოს პარტიულ ორგანიზაციას. თამარს ამ წლის დასაწყისს დეპოს უფროსის თანაშემწედ აწინაურებენ.

არც შემცდარან. ქალმა გაამართლა იმედი. ამხ. თ. გაგნიძე დეპოში ექსპლოატაციის დარგს ხელმძღვანელობს და იჩენს მეთაურის ყველა საუკეთესო თვისებებს. მას უყვარს ყველა მუყაითი და თავდადებული მუშაკი, სამაგიეროდ ისიც უყვართ. თამარი დეპოში დღეს ავტორიტეტიანი მეთაური ქალია, რომელსაც პატივს სცემენ და უჯერიან. განსაკუთრებით ძვირფასია იგი იმ ქალებისათვის, რომლებიც საყვარელი სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის მოწოდების საპასუხოდ მოვიდნენ ტრანსპორტზე სამუშაოდ. ისინი, როდესაც რაიმეს გაგება გაუძნელდებათ ორთქლმავლის დაუფლების საქმეში, პირველყოვლისა თამარს მიმართავენ დახმარებისათვის და ისიც სიამოვნებით ეხმარება თავის ამხანაგებს.

თამარ გაგნიძით ამაყობს არა მარტო თბილისის დეპო, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის რკინიგზა, როგორც პირველი კომანდირი ქალით.

დეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებამ ამხ. თამარ გაგნიძე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა.

კრებაზე დამსწრეთა მაღლა აწეული ხელების ტყემ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დეპოს კოლექტივი ჭეშმარიტად აფასებს თავის კანდიდატს და სჯერა, რომ იგი მათ ნდობას უეჭველად გაამართლებს.

თამარ გაგნიძის სახით თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა თბილისის მშრომელთ ერთერთი თავისი საუკეთესო მუშაკი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული ამხანაგი წარუგზავნა ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. თ. გაგნიძე დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

სრული იმედი გვაქვს, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპოელთა კანდიდატს.

ან. ზურაშვილი.

ორდენოსანი პოეტი

ვაჟა-ფშაველამ მას გზა ასე დაულოცა:

„... დღეს ვხედავ გამრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მიჩვება წყლული გულისა
ვყურდები ანატირები...“

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედების დასახასიათებლად ხშირად მთლიანად მათი ნაწერებიც არ კმარა, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელთა ყოველი ლექსი გაშლილი გულია, რომელშიაც შეგიძლია ამოიკითხო დამწერის პირადი გრძნობები, განცდები, თვისებები, აზრები და მისწრაფებები. გიორგი ლეონიძე პოეტების ამ კატეგორიას ეკუთვნის. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყოველი მისი ლექსი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით არის გამსჭვალული, ყოველი სტრიქონი სუნთქავს იმ აღმაფრენით, რაც საერთოდ სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ადამიანის თვისებას წარმოადგენს. თავის პოეზიის დახასიათება მან შემდეგ პოეტურ ფორმულაში მოგვცა:

„სამშობლო—ჩემი გულისფეთქვაა,
სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი“.

გიორგი ლეონიძის პოეტური დავაჟკაცება მოხდა იმ დროს, როცა „წყვდიადი დამალყოფილი“ იქნა და საქართველოს სიხარულმა გაუქარვა და მოუშუშა წარსულის იარები. ეს მოხდა ლენინისა და სტალინის დიდებულ ეპოქაში.

პოეტს, რომელსაც ორგანიულად აქვს განცდილი ისტორია და ქართლის ცხოვრებაში სამართლიანად „ქართლის მკვლელობის ამბებს“ ჰხედავს, არ შეუძლია აღფრთოვანებული ჰანგებით არ მიმართოს მას, ვინც მოძმე ქვეყნებთან ერთად ჩვენი ქვეყანა აღორძინა და გააბედნიერა.

— სტალინი! ეს სახელი გიორგი ლეონიძისათვის პოეზიის მთავარი საგანია. ყველაფერი, რაც კი ჩვენს ქვეყანაში ხარობს და იზრდება, ბელადის ხელით არის ნაზარდი და ნატრფიალები. ყველაფერში მოსჩანს სტალინის აზრი. ზრუნვა და ამაგი. და აი აღტაცებული პოეტი ამბობს:

„იზარდე ნერგო, გამაგრდი,
სტალინის ხელმა გახარა;
ნერგო შენ დაგრგო ბელადმა
მზე პირზე გადაგაყარა;
შენ არ გახმები გოლვაში
და არც ყინვაში დაზრები;
შენს კოკორში და ყვავილში
ჰყვავის სტალინის აზრები“.

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის ტრიბუნიდან ლექსად წარმოთქმულ სიტყვაში გიორგი ლეონიძემ ასე მიმართა ბრძენ ბელადს:

„შენებრ მამა და სარდალი
ხალხს დღემდის არა ჰყოლია!
გულიც, გრძნობაც და გონებაც
ჩვენს ვაშას გადმოჰყოლია“.

გიორგი ლეონიძემ მრავალი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოები უძღვნა ბელადს. თავისი აღნაგობით ეს ლექსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მთლიანობაში ერთ დიდ სიმფონიას წარმოადგენენ. მათში გამოსჭვივის ავტორის დაუშრეტელი ენერგია, დიდი პოეტური კულტურა, მისი ოსტატობა. ყველა ამას უხვად ამჟღავნებს პოეტი, როცა მხატვრულ შედარებებს, მეტაფორებსა და ეპითეტებს ჰქმნის იმისათვის, რომ მიაღწიოს ამ მეტად საპასუხისმგებლო თემის შესაბამის პოეტურ გადაჭრას.

ბელადის სახის სიდიადისათვის შესაფერი პოეტური ფორმის მიღწევა უძნელესი ამოცანაა. მით უფრო მეტი გატაცებითა და ენტუზიაზმით იბრძვის გიორგი ლეონიძე საბჭოთა პოეტის ამ საპატიო ამოცანის გადასაწყვეტად და კიდევაც აღწევს მიზანს.

პოეტის წარმოდგენით ხალხი და ბელადი განუყოფელ მთლიანობაში არიან. მას სწამს, რომ სტალინი „ქვეყნის სიცოცხლეა“, ქვეყნის უკუღმართობის წინააღმდეგ იმ „ამბოხებულთა და ბობოქართა შურისძიებაა“, რომელთა წმინდა სისხლი „თვითეული ხისა და ბალახის ქვეშ“ არის ჩაქცეული.

„როცა ლენინის ძმა ჩამოახრჩეს,
ლენინს სხვა დარჩა მისი ნაცვალი,
ქართლში მეორე ძმა ჰყავდა ლენინს,
იქ ეზრდებოდა ძმა თანაცვალი...

ეს ის დრო იყო ლენინთან ერთად
როცა სტალინი იბადებოდა...
მათ ორ აკვანში როცა ხალხების
თავისუფლება იბადებოდა...“

პოეტი ბუნებრივ სიამაყეს განიცდის მით, რომ ის იმ ქვეყნის შვილია, სადაც დაიბადა და ყრმობა გაატარა დიდმა სტალინმა.

„გახსოვს ის ქოხი ლიახვზე,
ან დიდი ლილოს მინდვრები?
ეს ლექსიც იქაურია,
ხქიდან დაგეწინდრები!“

და აი ასე განცდილ თემაზე დაწერილმა ლექსებმა გიორგი ლეონიძეს პოპულარობა მოუხვეჭა არა მარტო საბჭოთა საქართველოში. იმ ორკესტრში, რომელიც დღეს დიდი სტალინის გარშემო ჟღერს საბჭოთა ლიტერატურაში, ვაჟკაცურად გაისმის მისი ინდივიდუალური პოეტური ხმა:

„დახრილი ქედის გაშლა ხარ,
დროშა ხარ, ტარით მაღალი;
შეუწყვეტელი „ვაშა“ ხარ,
გულიდან გულზე სახელი!...

მონობა კიდევ დიდია,
შურისძიება—მტანჯავი,
სტალინის სახე ჰკიდია
ქოხებში, როგორც ხანჯალი!“

ასე მძლავრად შესძლო პოეტმა გამოეხატა მშობლიური ხალხის სიყვარული დიდი ბელადისადმი.

ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნად გიორგი ლეონიძის ყველა ნაწერები სტალინზე. ეს წიგნი ლექსთა იმ კრებულთან ერთად, რომელიც წელს გამოიცა, ზედმეტად დაადასტურებს, რომ ხალხთა დიდი ბელადის და ჩვენი მზიანი ცხოვრების სადიდებლად გიორგი ლეონიძეს ჭეშმარიტად შესწევს პოეტური გზნება და ოსტატობა.

როგორც პოეტი, გიორგი ლეონიძე მკაცრ მოთხოვნილებას უყენებს თავისთავს და ყოველი მისი ახალი ლექსი პოეზიის ახალი სიტყვაა, საბჭოთა პოეზიის შემდგომი მიღწევისა და წინსვლის მაჩვენებელი.

გიორგი ლეონიძე არ არის მარტო პოეტი. ის ისეთი ტიპის მოღვაწეა, რომელიც მშვენივრად ათავსებს პოეტურ მუშაობას მრავალფეროვან საზოგადოებრივ საქმიანობასთან. უკვე 9 წელია, რაც ის ხელმძღვანელობს ლიტერატურულ მუზეუმს და თავს ევლება მის ყოველ ექსპონატს, რომელიც ქართველ მწერალთა სახელთან და მათს შემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

დღეს მწერალთა საზოგადოებრიობამ ჩვენი დროის ერთერთი საუკეთესო მგოსანი და ღირსეული მოქალაქე, ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის საბჭოს დეპუტატად წამოაყენა და პოეტი გიორგი ლეონიძეც უთუოდ გაამართლებს თავის ამომრჩეველთა დიდ ნდობას.

ა. ბარათელი

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის ახალი მთავრობა

ბუქარესტი, 25 ნოემბერი (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ტატარესკუმ შეადგინა რუმინეთის ახალი მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი — ტატარესკუ; საგარეო საქმეთა მინისტრი და დროებით პროპაგანდის მინისტრი— გაფენკუ; ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი — კონსტანტინე ანგელესკუ; ფინანსთა მინისტრი — კონსტანტინესკუ; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — დოქტორი ხორტოლომეი; მიწათმოქმედების მინისტრი — იონესკუ სისეშტი; ნაციონალური თავდაცვის მინისტრი— გენერალი ილკუსი; საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი — გენერალი გაბრიელ მარინესკუ; ავიაციისა და საზღვაო ფლოტის მინისტრი — გენერალი პაულ ტეოდორესკუ; უმცირესობის საქმეთა მინისტრი — დრაგომირი; გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი — ჟიგურტუ; სახელმწიფო ქონებათა მინისტრი — ტროია პოპი; განათლების მინისტრი — პეტრე ანდრეი; შრომის მინისტრი — რალეა; იუსტიციის მინისტრი — ისტრატი მიჩესკუ; არმიის შეიარაღების მინისტრი — სლავესკუ; კულტის მინისტრი — ნისტორი და „ნაციონალური აღორძინების ფრონტის“ მინისტრი — ჯიურესკუ.

ომი ევროპაში

ბრიუსელი, 24 ნოემბერი (საკდესი). დღეს „პტი პარიზიენის“ სამხედრო მიმოხილვაში ნათქვამია: „ხმელეთზე აქტივობა სუსტი საარტილერიო სროლითა და სადაზვერვო მუშაობით განისაზღვრა. ჰაერში ორივე მხრის ავიაციის მოქმედება მეტად აქტიური იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე ჩამოაგდეს 5 თვითმფრინავი იმ დროს, როდესაც ჩვენ ერთი ავიაგამანადგურებელი დავკარგეთ. ჩრდილოეთის რაიონში ჩვენმა ავიაგამანადგურებელმა ჩამოაგდო გერმანიის მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც ბელგიის ტერიტორიაზე დაეცა.

22 ნოემბერს ღამით გერმანიის თვითმფრინავები პარიზის თავზე დაფრინავდნენ. ვინაიდან ისინი ძალიან დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ; საზენიტო არტილერიის მოქმედება უშედეგო აღმოჩნდა.

○

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „პტი პარიზიენის“ სიტყვით, ამ უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში საფრანგეთის ნაღმოსანმა „სიროკომ“ და ჰიდროგრაფიულმა გემმა „ადმირალ მუშემ“ ჩასძირეს გერმანიის სამი წყალქვეშა ნავი. ამავე დროს პრესა იუწყება, რომ 22 და 23 ნოემბერს საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს გერმანიის 14 თვითმფრინავი.

○

ბერლინი, 25 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგ ნაკრებ ცნობას: „დასავლეთში ადგილობრივი ხასიათის სადაზვერვო მოქმედება სწარმოებდა. ფრონტის ცალკეულ უბნებზე სუსტი საარტილერიო სროლა იყო. დასავლეთის საზღვრის რაიონში აღნიშნულია მტრის თვითმფრინავების ცალკეული სადაზვერვო ფრენა. გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები დასაზვერავად გაფრინდნენ საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში.

გერმანიის წყალქვეშა ნავმა მოსპო ინგლისის გემი — დამხმარე სამხედრო ხომალდი, რომლის წყალწყვაც 7.000 ტონას უდრიდა. ინგლისის ეს გემი შენიღბული იყო ისე, რომ თავი ჰოლანდიის გემად მოეჩვენებინა. ინგლისური ცნობების მიხედვით, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ინგლისის დიდი გემი „მანგალორე“, რომლის წყალწყვაც 8.886 ტონას უდრიდა“.

ომი ზღვაზე

ბერლინი, 24 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობის თანახმად, 22 ნოემბერს ფერტ-ოფ-ფორტის ყურეში ტორპედირებული ინგლისის კრეისერი „ბელფასტი“ მხოლოდ ა. წ. აგვისტოში შევიდა მწყობრში და შეიარაღებულ იქნა ტორპედებისაგან დასაცავი უახლესი მოწყობილობებით. „ბელფასტის“ წყალწყვა უდრიდა 10.000 ტონას, მისი სისწრაფე—32 კვანძს. კრეისერი შეიარაღებული იყო 15,2 სანტიმეტრი ყალიბის 12 ქვემეხით და 4,7 სანტიმეტრი ყალიბის 4 ქვემეხით. საჰაერო თავდაცვისათვის გემს ჰქონდა 10,2 სანტიმეტრი ყალიბის 12 ქვემეხი და 4 სანტიმეტრი ყალიბის 16 საზენიტო ქვემეხი. ამას გარდა, კრეისერი შეიარაღებული იყო 8 სატორპედო აპარატით და მის გემბანზე იყო 4 თვითმფრინავი.

○

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი (საკდესი). კარგად ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის გემებმა ატლანტიკის ოკეანეში ხელთ იგდეს გერმანიის სატვირთო გემები — „ბრონროკუმი“, „აიბლეკი“ და „ლეანდერი“.

„ფელკიშერ ბეობახტერი" ოტო შტრასერის საქმიანობის შესახებ

ბერლინი, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" აქვეყნებს ცნობას ოტო შტრასერის საქმიანობის შესახებ უკანასკნელ წლებში. გაზეთის ცნობით, შტრასერი მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოებს გადატრიალების მომზადებას გერმანიაში. 1934-1935 წლებში მან პრაღის მახლობლად ზაგოეში მოაწყო რადიოგადაცემის „ფრაიჰაიტსზენდერის" მუშაობა. გერმანიის მთავრობა ჯერ კიდევ მაშინ მოითხოვდა ამ გადამცემის ლიკვიდაციას, რომელიც ავრცელებდა მოწოდებებს გერმანიის მთავრობის წევრთა მოკვლის შესახებ. მცველი რაზმების ორმა ხელმძღვანელმა 1935 წლის 26 იანვარს მწყობრიდან გამოიყვანა გადამცემი. 1936 წელს შტრასერმა დაიწყო ჰიტლერზე თავდასხმის მზადება. ამასთან იგი სარგებლობდა პრაღელი ვინმე ჰელმუტ ჰირშის დახმარებით. როცა ჰირში ფეთქებადი ნივთიერებებით გატენილი ორი ჯოჯოხეთის მანქანით გადავიდა გერმანიის საზღვარზე, იგი გესტაპომ დააპატიმრა. 1937 წლის 8 მარტს ჰირშს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. შტრასერმა სცადა მოეწყო ახალი თავდასხმა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ერთერთი დიდი კრების დროს. არც ეს თავდასხმა მოხერხდა. 1938 წლის შემოდგომაზე შტრასერმა სცადა კიდევ ერთი თავდასხმის მოწყობა. შემდეგ მან დასტოვა პრაღა და მჭიდრო კავშირი გაება ბრიტანეთის დაზვერვასთან. 8 ნოემბერს ღამით ელზერმა სცადა გერმანია-შვეიცარიის საზღვარზე გადასვლა კონსტანცის მახლობლად, მაგრამ დაპატიმრებულ იქნა. ოტო შტრასერმა, რომელიც შვეიცარიაში ელზერის ჩასვლას ელოდა, 10 ნოემბერს სასწრაფოდ დასტოვა შვეიცარია და ლონდონს გაემგზავრა.

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 24 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო, ეხება რა გერმანიის პოლიციის ოფიციალურ ცნობას მიუნხენში მომხდარი აფეთქების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ ეს ცნობა წინააღმდეგობას შეიცავს. სააგენტოს განცხადებით, ფენლოში მომხდარი ინციდენტისა და მიუნხენის აფეთქების დაკავშირების ცდა სრულიად დაუსაბუთებელია. „დავუშვათ, — ამბობს სააგენტო, — რომ „ინტელიჯენს სერვისის" აგენტებმა, რომლებზედაც ლაპარაკია, მოამზადეს მიუნხენის აფეთქება, მაგრამ მაშინ რა მნიშვნელობა აქვს ჰიმლერის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ამ აგენტებმა წინასწარ აცნობეს გესტაპოს თავიანთი განზრახვები და გეგმები". დასასრულ სააგენტო აცხადებს, რომ ცდა მიუნხენში მომხდარი აფეთქებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ „ინტელიჯენს სერვისს", ყოვლგვარ საფუძველს მოკლებულია.

ოტო შტრასერის განცხადება

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ოტო შტრასერი მასთან საუბრის დროს უარჰყოფდა, რომ იგი იცნობს ელზერს ბესტსა და სტევენსს, რომელთა შესახებ გერმანიამ განაცხადა, რომ მათ დამნაშავედ სცნეს თავი მიუნხენის აფეთქებაში.

რეპრესიები პრესის წინააღმდეგ ფინეთში

ჰელსინკი, 24 ნოემბერი (საკდესი). გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დახუროს წვრილ მიწათმფლობელთა ცენტრალური ორგანო — გაზეთი „სუომენ პენვილიელია". რეპრესიას გაზეთის წინააღმდეგ იმით ასაბუთებენ, რომ იგი მთელი შემოდგომის განმავლობაში და უკანასკნელ ნომერშიც კი ათავსებდა სტატიებს და შენიშვნებს, „რომლებმაც ზიანი მიაყენეს ფინეთის უშიშროებას".

როგორც ვიცით, დევნა განიცადა ფინურმა ჟურნალმა „სოიხტუმ". მის უკანასკნელ ნომერს პოლიციამ კონფისკაცია უყო, მაგრამ, როგორც გაზეთ „ილკას" გადაკრული ნათქვამიდან სჩანს, „სოიხტუს" გამოცემა ახლა საბოლოოდ შესწყდა, თუმცა ოფიციალურად არაფერი ყოფილა გამოცხადებული. ჯერ კიდევ ზაფხულში აქ აკრძალეს პოპულარული გაზეთი შვედურ ენაზე „ფოლკ ვილიანი". უკანასკნელ დრომდე ოპოზიციურმა „ტულენკანტაიატმა" ამ ცოტა ხნის წინათ „გეზი" იცვალა.

გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

ბერლინი, 22 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ „მოზელის აღმოსავლეთ ნაპირზე, პერლის სამხრეთით, მოქმედებდა მტრის ყველა ყალიბის არტილერია. საფრანგეთის ტერიტორიაზე, კიტცინგერ - მანდერნის გზის სამხრეთით, მოწინააღდეგემ ცოტათი წინ წამოიწია. გრინდორფის ჩრდილოეთით, მერციგის სამხრეთით 10 კილომეტრის მანძილზე, არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნა მტრის მსროლელთა ოცეული. მოზელსა და რაინს შუა მდებარე ფრონტზე არტილერიის სუსტი სროლაა. ზემო რაინზე ფრანგები წყალდიდობის გამო იძულებული იყვნენ თავიანთი ჯარის ნაწილი გაეყვანათ მთელი რიგი სიმაგრეებიდან. გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტი 21 ნოემბერს განაგრძობდა ზვერვით ფრენას ინგლისისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე".

საფრანგეთ-ბელგიის სავაჭრო შეთანხმება

ბრიუსელი, 24 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ენდეპანდანს ბელჟის" ცნობით, სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც ამ ბოლო დროს ბელგიასა და საფრანგეთს შორის სწარმოებდა, დამთავრდა შეთანხმების ხელმოწერით. ამ შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთი ბელგიას მიაწოდებს რკინის მადანს და ნაცვლად მიიღებს ბელგიის ქვანახშირს.

იზრდება ფინელი ხალხის უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკით

ჰელსინკი, 23 ნოემბერი (საკდესი). ფინური პრესა ვერ მალავს მშრომელთა ტანჯვა-წამებას, რაც გამოწვეულია მთავრობის სამხედრო ღონისძიებით.

გაზეთ „სუომენ პენვილიელიას" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულია ნიულანდის გუბერნიის გლეხის წერილი. ის სწერს: „რეზერვისტების მობილიზაციასთან დაკავშირებით, ბევრი ჩვენგანი — არმიაში გაწვეულთაგანი — ოჯახის ერთადერთი მარჩენალი მამაკაცია; და ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ჩავვარდით. მინდვრის სამუშაოები დაუმთავრებელი დარჩა. დიდი სიძნელეები შეიქმნა არა მარტო პატარა, არამედ დიდ გლეხურ მეურნეობებშიც".

მეორე წერილის ავტორი აღშფოთებას გამოსთქვამს სამხედრო ფოსტის ცუდი მუშაობის გამო. მისი სიტყვით, წერილები და სასურსათო გზავნილები დანიშნულების ადგილას არ აღწევენ ან რამოდენიმე კვირით იგვიანებენ.

ოთხი მობილიზებული რეზერვისტის მამა მოგვითხრობს, რომ პროვინციაში ბევრი მუშა-დურგალი, მღებავი, მებათქაშე — სრულიად უსახსროდ დარჩა. საამშენებლო სამუშაოთა მეტი ნაწილი სახსრებისა და საამშენებლო მასალის უქონლობის გამო შეჩერებულია.

ერთი რეზერვისტის ცოლი იუწყება: „როდესაც შეპირებული დახმარების მისაღებად მივდივართ, ჩვენგან მაშინვე მოითხოვენ სიღარიბის მოწმობას. განა ეს დამამცირებელი არ არის?"

„მსურს ვიკითხო, — სწერს მეორე ავტორი, — რად ძვირდება გამუდმებით პროდუქტები. რად უნდა იტანჯებოდნენ ზოგიერთნი და რათ უნდა მდიდრდებოდნენ სხვები".

ერთი ახალწვეულის დედა აცხადებს, რომ მძიმე მდგომარეობა მარტო რეზერვისტთა ოჯახებში არ შექმნილა. „სახელმწიფო მოხელენი, — სწერს ის, — ანგარიშების გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებით აუქციონებს აწყობენ. ახლოვდება ზამთარი, საჭიროა პურის შესყიდვა და ტანისამოსის მომარაგება, ამავე დროს კი ბინის ქირის შეუტანლობისათვის იძულებითი აუქციონებით გვემუქრებიან".

მკითხველები იუწყებიან აგრეთვე მეწარმეთა უხეში თვითნებობის ფაქტების შესახებ. მეწარმენი უარს ამბობენ უქმ დღეებში ზედმეტად ნამუშევარის ანაზღაურებაზე, რის შედეგად მუშები ხელფასის 12 პროცენტს ჰკარგავენ.

საიმონის გამოსვლა

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის ფინანსთა მინისტრმა საიმონმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან სხვათა შორის განაცხადა, რომ ომი დიდ ბრიტანეთს ამჟამად სულ ცოტა 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდება დღეში. ფრონტზე მყოფი დივიზიების შეიარაღება და შენახვა თითქმის ერთი-ორად მეტი ჯდება, ვიდრე წარსულ ომში. სახაზო გემის ღირებულება ერთი-ორად—ერთი-სამად, გაიზარდა, ხოლო თვითმფრინავის ღირებულება 3-7-ჯერ გაიზარდა 1918 წელთან შედარებით. გადიდებულ გადასახადებსაც კი არ შეუძლიათ იმის ნახევრის დაფარვა, რასაც ინგლისი მიმდინარე წელს ხარჯავს. „ამიტომ,—განაცხადა საიმონმა, — დამატებითი სახსრები უნდა გამოვნახოთ. თვითეულმა ჩვენთაგანმა, რაც შესაძლებელია ყოველივე, უნდა გააკეთოს ჩვენი ქვეყნისათვის დახმარების გასაწევად, უნდა დაზოგოს ყველაფერი, რის დაზოგვაც შეუძლია, და უნდა შეიძინოს სერტიფიკატები ანუ თავდაცვის ობლიგაციები".

o

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ფინანსთა მინისტრმა საიმონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ომის დაფინანსებისათვის გამოშვებული იქნება 15-შილინგიანი შემნახველი სერტიფიკატები ხუთი წლის ვადით. ამასთან ერთად გამოშვებული იქნება თავდაცვის სახაზინო ობლიგაციები 5 გირვანქა სტერლინგის ღირებულებისა წლიური 3 პროცენტით.

ჰორ-ბელიშას გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ თემთა პალატაში გამოვიდა სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიშა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ომი ხმელეთზე.

როცა უკანასკნელად გამოვედი თემთა პალატაში, — სთქვა მან, — მაშინ საფრანგეთში 158.300 ჯარისკაცი გვყავდა. ამ დროიდან ყოველკვირა იგზავნება საფრანგეთში რამდენიმე ათასი კაცი. მომავალი წლის გაზაფხულისათვის ისინი კარგად იქნებიან შეიარაღებულნი. ასე განვაგრძობთ ომს გამარჯვებამდე. ამჟამად ინგლისში თითქმის ერთი მილიონი კაცი სწავლობს ინტენსიურად სამხედრო საქმეს. მაჟინოს ხაზის ინგლისურ ნაწილში საფრანგეთის ჯარიც არის, ხოლო საფრანგეთის ნაწილში — ინგლისის ჯარი. საფრანგეთში გაიგზავნება ორთქლმავლები. გაჰყავთ მუდმივი რკინიგზის ხაზი. მაგრამ ამჟამად მაინც საჭიროა მანქანები, მანქანები და კიდევ მანქანები. ჩვენ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის ვემზადებით. სამხედრო ვალდებულთა გარდა, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ ჯარში, 85 ათასზე მეტი მოხალისე მივიღეთ ჯარში. ყოველკვირა გადაგვყავს არმიაში 300-ზე მეტი ოფიცერო განსაკუთრებული დანიშნულების რეზერვიდან. დასასრულ ჰორ-ბელიშამ განაცხადა, რომ ეს ომი არის ომი განძლეობაზე.

ჯარის გაგზავნა ახალ ზელანდიიდან ინგლისში

ლონდონი, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი სავაჟი გამოვიდა განცხადებით, რომელშიც აღნიშნა, რომ მალე ინგლისში გაიგზავნება პირველი სამხედრო ეშელონი, რომელმაც უკვე გაიარა გაძლიერებული სამხედრო წრთვნა. გადადგმულია ნაბიჯები ახალი ნაწილების შესადგენად ევროპაში სამხედრო სამსახურისათვის. გემებს, რომლებითაც ახალი ზელანდიის ჯარი გაიგზავნება, გზაში უბადრაგებენ სამხედრო გემები.

რუმინეთის მთავრობის გადადგომა

ბუქარესტი, 23 ნოემბერი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა არჟეტოიანუმ განცხადება შეიტანა მთავრობის გადადგომის შესახებ. მეფემ დააკმაყოფილა მისი განცხადება.

ამავე დროს სააგენტო იუწყება, რომ დღეს, საღამოს, სასახლეში მოწვეული არიან მეფის მრჩევლები შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

o

პარიზი, 23 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენას, როგორც სჩანს, დაავალებენ ყოფილ პრემიერ-მინისტრს არჟეტოიანუს.

ბუქარესტი, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღეს რუმინეთის მეფე ეთათბირა სამეფო საბჭოს წევრებს. საბჭომ ახალი მთავრობის შედგენა ტატარესკუს მიანდო. ტატარესკუმ იკისრა ახალი მთავრობის შედგენა და უკვე ეთათბირა საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს გაფენკუს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს იამანდის და ფინანსთა ყოფილ მინისტრს კონსტანტინესკუს. ტატარესკუ რუმინეთის მთავრობას სათავეში უდგა 1934-დან 1937 წლამდე. 1938 წლიდან 1939 წლის ზაფხულამდე ტატარესკუ იყო რუმინეთის ელჩი პარიზში.

დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი, 24 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

„მტრის ავიაგამანადგურებლებსა და გერმანიის ავიაგამანადგურებლებს შორის, რომელნიც დახმარებას უწევდნენ მზვერავი ავიაციის მოქმედებას, ხდებოდა ხშირი შეტაკებები. ჩამოგდებულ იქნა: ინგლისის ერთი თვითმფრინავი ვერდენის (საფრანგეთი) მახლობლად და ერთიც—საარბრიუკენის (გერმანია) მახლობლად. საფრანგეთის ერთი თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ცვაიბრიუკენის (გერმანია) მახლობლად".

o

ბერლინი, 24 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დასავლეთის ფრონტზე უფრო აქტიური, ვიდრე უკანასკნელ დღეებში, იყო ქვეითი ჯარის მოქმედება მოზელსა და პფალცის ტყეს შორის. ვარნდტის ტყეში მოგერიებულ იქნა მტრის მზვერავი რაზმი. რაინერინგის აღმოსავლეთით გერმანიის დაზვერვამ აღმოაჩინა ფრანგების მიერ მიტოვებული პოზიციები. ველცსა და დრუზენჰაიმს შორის ფრანგებმა წყალდიდობის გამო დასტოვეს მთელი რიგი საბრძოლო პოზიციები.

ფრონტის ექვს ადგილას 22 ნოემბერს სწარმოებდა საჰაერო ბრძოლა. ფრანგებმა დაჰკარგეს 6 თვითმფრინავი. გერმანიის ერთი თვითმფრინავი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ინგლისის სათევზაო გემთაგან, რომელნიც ლა-მანშის ჩრდილოეთ ნაწილს იცავენ, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა 5 გემი ჩასძირეს.

o

პარიზი, 24 ნოემბერი (საკდესი) ოფიციალურად იუწყებიან: „გუშინ ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 8 მზვერავი თვითმფრინავი: ინგლისის ავიაციამ ჩამოაგდო 4 თვითმფრინავი და საფრანგეთისამ—4. ერთი ჩვენი ავიაგამანადგურებელი ბაზაში არ დაბრუნებულა".

o

ლონდონი, 24 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ინგლისის თვითმფრინავებმა შალონ-სიურ-მარნის რაიონში ბრძოლის დროს ჩამოაგდეს გერმანიის თვითმფრინავი. ეკიპაჟმა 3 კაცის შემადგენლობით სცადა თავის გადარჩენა პარაშუტებით. ერთი მოკლულ იქნა, მეორე დაიჭრა, მესამე უვნებლად გადარჩა.

ინგლისის იმ ავიაგამანადგურებელთა მფრინავები, რომელნიც პატრულობენ მაჟინოს ხაზის სექციებს, აცხადებენ, რომ გუშინ მათ 7-ჯერ მოუხდათ ბრძოლა და ყველა შემთხვევაში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის თითო თვითმფრინავი.

ომი ზღვაზე

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ჯიპსი". ეკიპაჟიდან 100-ზე მეტი კაცი გადარჩენილია, 21 დაჭრილია და 40 ჯერჯერობით არ უპოვნიათ.

o

პარიზი, 23 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ „უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში ერთმა და იმავე ნაღმოსანმა ჩასძირა მტრის 2 წყალქვეშა ნავი, რომელთაგან ერთი საზღვაო ავიაციამ აღმოაჩინა".

o

პარიზი, 23 ნოემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ, ინგლისის მთავრობის მსგავსად, გადასწყვიტა გააძლიეროს გერმანიის ბლოკადა.

o

ბრიუსელი, 23 ნოემბერი (საკდესი). ჰოლანდიის პრესა შეშფოთებულია ინგლისის მთავრობის განზრახვით გააძლიეროს გერმანიის ბლოკადა. შეწყვეტა გერმანიის ექსპორტისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰოლანდიის ნავსადგურებით გადის, უდიდეს ზარალს მიაყენებს ჰოლანდიას. ჰოლანდიის ნავსადგურების მუშაობა უკვე ახლა კატასტროფულად შემცირდა.

o

ლონდონი, 23 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ამსტერდამელი კორესპონდენტი იუწყება, ამჟამად საზღვაო მიმოსვლა ინგლისსა და ჰოლანდიას შორის სავსებით შეწყვეტილია. როგორც ჰფიქრობენ, ჰოლანდიის მთავრობის განზრახვა შესწყვიტოს მიმოსვლა აიხსნება იმ საშიშროებით, რომ გემები მცურავ ნაღმებს წააწყდებიან. კერძოდ აღნიშნავენ, რომ გემი „ბატავიერი", რომელიც გუშინ დილით როტერდამიდან ლონდონისაკენ გავიდა, მალე უკან დაბრუნდა.

o

ბრიუსელი, 23 ნოემბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთი „ფიგარო" იუწყება, რომ გერმანიის მცურავ ნაღმებს გარედან აქვთ გოგირდმჟავიანი შუშის მილები, რომლებიც დაცულია ლითონის სახურავებით. როგორც კი რაიმე საგანი მოჰხვდება ნაღმს, მილები ტყდება, გოგირდმჟავა ელექტრონის ელემენტებს ხვდება და იწვევს დენს, რომელიც ჰქმნის აფეთქებას.

ფეხბურთი

ოთხი ბურთი ლენინგრადის კარში

ორი წლის განმავლობაში თბილისის და ლენინგრადის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამი უკანასკნელი მატჩი ლენინგრადელების გამარჯვებით დამთავრდა. 24 ნოემბერს ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა ამ გუნდების მეხუთე შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე, რომელსაც 35.000 მეტი მაყურებელი დაესწრო.

პირველი ტაიმი 1:0 დამთავრდა. ხარბედიასაგან მიღებული ბურთი ჯეჯელავამ გაიტაცა და მოხდენილად გაიტანა იგი ლენინგრადელების კარში.

მეორე ტაიმში ინიციატივა სულ თბილისელების ხელთ იყო. შუა თამაშში სტუმრების კართან მეტად კრიტიკული მომენტი შეიქმნა და თბილისის თავდამსხმელებმა მეორე ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. ამის შემდეგ ორ წუთსაც არ გაუვლია, რომ ბურთი ისევ ლენინგრადელების კართან დატრიალდა და ბერეჟნოიმ თავით გაიტანა მესამე ბურთი.

ამ დამარცხებას სტუმრებმა ძლიერი იერიშებით უპასუხეს. თავდამსხმელებმა რთული კომბინაცია გაითამაშეს და თბილისის კარში ერთადერთი ბურთი იქნა გატანილი.

თბილისელებმა კვლავ გააძლიერეს იერიშები. მე-30 წუთზე პაიჭაძის მიერ კორნერიდან გადაცემული ბურთი ჯეჯელავამ მიიღო. უკანასკნელი შეეცადა იგი სხვა მოთამაშისათვის გადაეცა, მაგრამ ბურთი თავში მოხვდა ლენინგრადის მცველს დენისოვს და კარში შევარდა.

ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

ამ შეჯიბრების მოგებით თბილისელებმა შესძლეს მესამე ადგილის დაკავება. უკანასკნელ მატჩს სსრ კავშირის პირველობაზე თბილისელები ჩაატარებენ 30 ნოემბერს ოდესის „დინამოსთან". ამ შეჯიბრების მოგების შემთხვევაში თბილისის „დინამო" გაუსწრებს მოსკოვის „ცდკა"-ს და მეორე ადგილზე გამოვა.

თ. ფურცელაძე.

ჟურნალ „ჩვენი თაობის" განხილვა

30 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში შესდგება სალიტერატურო წრის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხდება ჟურნალ „ჩვენი თაობის" განხილვა. მოხსენებას ჟურნალის მიმდინარე წლის ნომრების შესახებ გააკეთებს ამხ. ვ. ხალიფაშვილი. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მწერლები და რედაქციის თანამშრომლები.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება სთხოვს ევდოკია იაკობის-ასულ ფედორჩენკოს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. ალასაროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მე-2 სართული).

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1264137, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ბოჩია სვიმონ-ძე საჯაიას სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 2158122, გაცემული ამავე რაიკომის მიერ დომენტი სვიმონ-ძე ზანთარაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2858674, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ენუქი ესტატეს-ძე ბაკურიას სახელზე, პარტბილეთი № 2858670 გაცემული ამავე რაიკომის მიერ ესტატე ილიას-ძე ჯანანაშვილის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0927329, გაცემული ამავე რაიკომის მიერ იოსებ გიორგის-ძე გეჯაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა—ტალ. № 52 ტრავიატა, მარჯანიშვილის სახ. თეატრი — ვერაგობა და სიყვარული, რუსთაველის სახ. თეატრი—ღია წარმოდგენა.

კინოებში: რუსთაველის სახ. — უმაღლესი ჯილდო, ოქტომბერი—ექიმი კალიუჟნი, დამკვრელი — კატერინა, კომკავშირელი — საზღვარზე, სპარტაკი — მეკარე, ლუქსემბურგის სახ. — ექიმი კალიუჟნი, 26 კომისრების სახ. — შემთხვევა საზღვარზე, კომინტერნი — ფედკა, ახალი ამბები — ჟურნალი № 102, მოლოტოვის მოხსენება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

№ 7 სამკერვალო ფაბრიკის ბალანსი 1939 წ. I-ლ იანვრისათვის

(ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებები	139	1	საწესდებო ფონდი	534
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	176	2	სპეციალური ფონდები	2
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	59	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	2
4	საქონელი და მზა ნაწარმი	51	4	ანგარიშსწორება (კრედიტორები)	29
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	44	5	დაგროვება საანგარიშო წლის	40
6	ფულადი საშუალებები	57	6	ბალანსთაშორის და შინა ანგარიშსწორებანი	37
7	ანგარიშსწორება (დებიტორები)	58	7	საშუალებები კაპიტალური რემონტისათვის	3
8	მომავალი წლის ხარჯები	24			
9	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებები	1			
10	ბალანსთაშორის და შინა ანგარიშსწორებანი	37			
11	საშუალებები, დაბანდებული კაპიტალურ რემონტში	1			
	ბალანსი	647		ბალანსი	647

დაგროვება-დანაკარგების ანგარიშში.

1	სხვადასხვა დანაკარგები	19	1	დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	59
			2	სხვა დაგროვება	—
	სულ	19		სულ	59
	დაგროვების სალდო	40		დანაკარგების სალდო	—
	ჯამი	59		ჯამი	59

დირექტორი **უსტინოვა.** მთ. ბუხჰალტერი **ბურჯანაძე.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

726 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. ქიფიანი.**

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის ბალანსი 1939 წ. 1-ლ იანვრისათვის

(ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	1859	1	საწესდებო ფონდი	2575
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	587	2	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	4
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	23	3	მოკლევადიანი დაკრედიტება	91
4	საქონელი და მზა ნაწარმი	2	4	ანგარიშსწორება (კრედიტორები)	227
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	12			
6	საქონელი, მყიდველების მიერ გაუნაღდებელი	24			
7	ფულადი საშუალებები	60			
8	ანგარიშსწორება (დებიტორები)	12			
9	მომავალი წლის ხარჯები	13			
10	დანაკარგები საანგარიშო წლის	302			
11	საშუალებები, დაბანდებული კაპიტალურ რემონტში	3			
	ბალანსი	2897		ბალანსი	2897

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	დანაკარგები საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	201	1	სხვა დაგროვება	39
2	სხვა დანაკარგები	140			
	სულ	341		სულ	39
	დაგროვების სალდო	—		დანაკარგების სალდო	302
	ჯამი	341		ჯამი	341

დირექტორი **ლომთაძე.** მთ. ბუხჰალტერი **იუნგერმანი.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

747 საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახკომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. ქიფიანი.**

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის (სააბაზანო შენობა) დირექცია ამით აცნობებს ყველას,
რომ მის მიერ გამოშვებულია განსაზღვრული რაოდენობის საგზურები 50 მან. ღირებულებისა, გოგირდოვანი წყლით მკურნალობისათვის. აგრეთვე მოწყობილია კაბინეტი „ლუქსი", რომლის საგზური ღირს 100 მან.

თვითეული საგზურით განსაზღვრულია: 8—12 აბაზანა, უფასო ვიზიტაცია პოლიკლინიკის ექიმ-სპეციალისტებთან და ყველა საჭირო პროცედურები ფიზიომეთოდებით და სამკურნალო-ფიზკულტურულ მკურნალობით, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ანალიზები და მასაჟი, რენტგენოლოგ. და ორთოპედიული განყ. გოგირდოვანი წყლების შესხურება, ტალახის ტამპონები და სხვ.

მკურნალობა ნაჩვენებია შემდეგ დაავადებათა:
1. გულის და სისხლის ძარღვების დაავადება,
2. მოძრაობის ორგანოების დაავადება,
3. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი,
4. თირკმლების ქრონიკული დაავადებანი,
5. პერიფერიულ-ნერვული სისტემის დაავადებანი,
6. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი,
7. გინეკოლოგიური სნეულებანი (ქრონიკული ანთებითი პროცესები),
8. კანის სნეულებანი (გარდა გადამდებებისა).

ვაცხადებთ რა ამას, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადი ორგანიზაციისათვის საჭირო საგზურებისა.

აქვე გახსნილია სან-ჰიგიენური განყოფილება, სადაც ნებადართულია წინასწარი დაკვეთები აბაზანაზე.

მისამართი: მიასნიკოვის ქ. № 45.
ტელეფონი — 3—33—40, 3—56—89, 3—30—96.

სარეწაო-კოოპერატიულ არტელ „გაფორმშენის" წევრთა ა. წ. 28/X-ის საერთო კრების დადგენილებით ხდება აღნიშნული არტელის **ლიკვიდაცია.**

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება დღიდან გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში კენტ რიცხვებში ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე, მეტეხის აღმართი № 4.

459 ლიკვიდკომი

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო
ამით აცხადებს წარმოება-დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ 1940 წლისათვის საჭირო წლიური ტრამვაისა და ტროლეიბუსების ბილეთების დაკვეთა წარდგენილ უნდა იქნას ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს ცენტრალურ ბუხჰალტერიაში არა უგვიანეს ა. წ. 10 დეკემბრისა.

დაკვეთის წარმოდგენისას საჭირო არის თითო ცალი ფოტო-სურათი და ფულის გადმორიცხვის ცნობა. ფული გადარიცხულ უნდა იქნას კომბანკში ანგ. სწორ. ანგ-ზე № 291/16.

წლიური ბილეთების საფასური განისაზღვრება:
ტრამვაის უსახელო . . . . . 503 მან.
„ სახელობითი . . . 333 მან.

ტროლეიბუსების წლიური ბილეთი გაიცემა მხოლოდ სახელობითი და ეღირება 803 მან.

მისამართი: ტელმანის ქუჩა, № 8. 1194

დაკარგულია თბილისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი, ჩ. გ. 3957

მეუღლე გიორგი მოსეს-ძე ჯანაშვილი იუწყება
მარიამ სერგოს-ასულ ჯანაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 27/XI 4 ს. ავჭალის მოედანი, 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3990

ახლო მეგობრები ბადინოვა, ხარაძე, გოთუაძე, ლეონიძე, ფარსადანოვა, აბაშიძე, პაპოვა იუწყებიან ზინას მეუღლის, ძვირფას
ვასო ქვაჩაკიძის
გარდაცვალებას. 4000

თბილვაჭრობის სასურსათო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან თბილვაჭრობის მთავარი ბუხჰალტრის
ვასილ ლუკას-ძე ქვაჩაკიძის
გარდაცვალებას. 3986

მეზობლები მგალობლიშვილი, კახიძე, გელაძე, ჭყონია, ცერაძე, ჯულელი, ჯიქია იუწყებიან ნადია ჟვანიას ძმის
სარდიონ ამაღლობელის
გარდაცვალებას. 3989

კიკაჩეიშვილი, მეკინულოვა, ბერია, მასხულია, მაჭავარიანი, დოლონაძე, კეჩხუაშვილი, ასათიანი, დოლიძე, დონაძე, კანდელაკი, დმიტრევა, მიმინოშვილი, ეგოვა, გაგნიძე, ნანიკაშვილი, სულუხია იუწყებიან მარო ხუციშვილის დედის
ელისაბედის
გარდაცვალებას. 3999

ამურის კომსომოლსკის კავშირგაბმულობის კანტორა და ინჟინრები გ. ხელაია, ნ. გიგაია, ვ. ჩახუნაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ 1939 წლის 22 ნოემბერს ქალაქ ამურის კომსომოლსკში უდროოდ გარდაცვლილ
ინჟინერ ანდრო ვასილის-ძე მჭედლიძის
ოჯახს.

ექ. ნინა ჯაფარიძე ამაღლობელი შვილებით, ნოდარი, თამაზი და მაყვალათი იუწყებიან საყვარელი
სარდიონ ექვთიმეს-ძე ამაღლობელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ვაკის ახალ სასაფლაოზე, 28/XI, 5 საათზე. პანაშვიდი 27/XI—7 საათზე ბაქრაძის 4.

შვილები შოთა, ლენა, ძმა ილია, რძალი თამარ იუწყებიან
ანტონ ბეგლარის-ძე თოფურიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 26/XI 4 ს. წითელი ჯვრის საავადმყოფოდან. კამოს, 2. კუკიის სასაფლაოზე. 3991

მშობლები დაშა, ალექსანდრე, ძმა ჟორა, და როზა ცინცაძეები იუწყებიან ძვირფას
შურას
გარდაცვალებას. გამოსვენება 26/XI 4½ ს. კლარა ცეტკინის, 176, კუკიის სასაფლაოზე. 3992

ბორის, ივანე, ნატა და კოტე ჯალაღონიები ოჯახებით იუწყებიან შვილის, შვილიშვილის და ძმისწულის პატარა
ადა ჯალაღანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/XI ქ. ოზურგეთში. 3993

რძალი კატო, ძმისწულები შოთა, გრიშა, კარლო, ვენერა, ეპრასი, ლუბა ქმარშვილით იუწყებიან დაუვიწყარ
ანტონ ეფრემის-ძე ჩანტლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28/XI ჩოხატაურში. 3994

მეუღლე ფარნაოზ, შვილები გიორგი, ქეთო, ბენია, პარმენ, რძლები ლიდა, ეანა, ნინო იუწყებიან
პელაგია იასეს-ასულ ქანთარიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ნაფაღაურში (სამტრედია). 3995

მშობლები ლუბა, ლეონტი, დები ქეთო, კლარა ფანცხავა ქმარშვილით, ძმა ტოგო იუწყებიან ძვირფას
ნინო ლეონტის-ასულ ფარცხალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში 28/XI. 3996

მშობლები ჩესია, მიშა, ბებია ძაძუ, ბაბუა მაქსიმე, ბიძები ვალია, დათიკო, კაკო ჩიქოვანები იუწყებიან
რაული მიხეილის-ძე ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა გეგეჭკორში 28/XI. 3997

ნემსაძე, ქადაგიშვილი, ფურცელაძე, თოდრია, წერეთელი, გვარჯალაძე, კვირკველია, თიკანაძე, ხუციშვილი, პაპავა, მელაძე, ჩანტლაძე, გ. კვირკველია, დობორჯგინიძე, ბელკინი, კოსტერევა, გოგოლაძე იუწყებიან მარო ხუციშვილის დედის
ელისაბედის
გარდაცვალებას. 3998

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ნ—1704